# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 28 ივლისი, 2010 წელი.

№140 (6506)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## როგორი კონსტიტუცია გვინდა

### ეს უთუოდ გამოიწვევს სახელისუფლო სისტემის შემდგომ გადაგვარებას




### ნუთუ ② ③ პუტინის გზას გავყვებით?..

## რატომ უნდა დაივიწყოს საქართველომ დროებით რუსეთი ⑧

## მალე ჟენევაში ქართულ მაფიას გაასამართლებენ, რომლის ფესვებიც ამჟამინდელი საქართველოს ნიადაგშია საძებნელი ⑧

## კვლავ ეროვნულობის დაცვის თაობაზე, ④

### ანუ ვაი რეფორმებისაგან

## ② ვერა ქობალიას პირველი მსხვერპლნი

## „აუქციონი“ – ახალი სიტყვა საქართველოს ტელევიზიაში


⑦




## ზერელე ვასო სანაია ზერელე მონტეფიორეს ⑤ კვალდაკვალ,

### ანუ სატირალი რომ არ იყოს, ფრიად სასაცილო ბრალდებები

## ქართველმა იაშვილმა რუსეთს მეფე მოუკლა ⑨



საფრთხე

# ნუთუ პუტინის

## რაც უთუოდ გამოიწვევს სახელისუფლო

**საერთაშორისო სამართლის დოქტორი ქალბატონი ევა გოცირიძე უპასუხებს ჩვენი კორესპონდენტის კითხვებს**



**— ქალბატონო ევა, მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე პოლიტიკურმა ძალამ მოითხოვა, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტში შეტანილი ყოფილიყო დებულება, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს თავისი უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ 5 წლის განმავლობაში აეკრძალებოდა პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავების უფლება. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა ეს წინადადება ხელაღებით უარყვეს. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?**

— ეს უაღრესად მნიშვნელოვანი თემაა. ვფიქრობ, რომ მასზე გაცილებით უფრო აქტიური საჯარო დებატები უნდა გამართულიყო. თავისთავად ის გარემოება, რომ ასეთი იდეა გაჩნდა, იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი, სავსებით საფუძვლიანად, ხედავს დიდ საფრთხეს იმაში, რომ ერთი და იგივე პიროვნება ხანგრძლივად იმყოფებოდეს ხელისუფლების სათავეში. შემოთავაზებული იდეა სწორედ ამ სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილებას ემსახურება. კერძოდ, ეს არის საფრთხე ხელისუფლების გადაგვარებისა, რაც ხელისუფლების დიდი ხნით შეუცვლელობას ჩვეულებრივ მოჰყვება ხოლმე. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ასეთი საფრთხე გაცილებით მეტია. აქ ხომ პრეზიდენტი, თავისი ძალაუფლების ხარისხითა და მართვის სტილით, ისედაც ძალიან ჰგავს მონარქს, ოღონდ არა თანამედროვე, ევროპელ მონარქს, კარგად რომ იცის თავისი ადგილი და უფლებები დემოკრატიულ სახელმწიფოში, არამედ მონარქს, ამ სიტყვის კლასიკური, შუასაუკუნეობრივი გაგებით; ისეთს, თავისი თავი სახელმწიფოსთან რომ აქვს გაიგივებული. შესაბამისად, ოპოზიციის მიერ შემოთავაზებულ ამ იდეას განვიხილავ, როგორც მოსალოდნელი საფრთხისაგან საზოგადოების თვითდაცვის ერთგვარ მცდელობას. ეს არის ჯანსაღი რეაქცია იმ საზოგადოებისა, ვინც ხედავს რა ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების ავტორიტარულ მიდრეკილებებს, სურს უარესისაგან დაიცვას თავი მომავალში. ყოველი კონსტიტუცია, მოწოდებულია, გაანეიტრალოს ყოველგვარი საფრთხე, რაც სახელისუფლო სისტემისა და მმართველობის სიჯანსაღეს ემუქრება მოცემულ სახელმწიფოში. დემოკრატიულად მოაზროვნე ხელისუფლება თავად უნდა ცდილობდეს ამგვარ საფრთხეთა გაუვნებელყოფას. რა კარგი იქნებოდა, რომ ეს იდეა, რომელიც ოპოზიციამ წამოაყენა, თავად მმართველ პარტიას შემოეთავაზებინა. ეს ერთიათად აამაღლებდა მისდამი საზოგადოებრივ ნდობას. მეორე მხრივ, თავისთავად ის ფაქტი, რომ ეს იდეა არა თუ თავად არ შემოუთავაზებიათ, არამედ აქტიურად ეწინალმდეგებიან მის განხორციელებას, ააშკარავებს ამ საფრთხის რეალურობას და კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის საზოგადოებრივი ძალისხმევის აუცილებლობას ამ იდეის განსახორციელებლად.

**— რას ხედავთ ცუდს, ანტიდემოკრატიულს იმაში, რომ სამართლიანად არჩეულმა პარლამენტმა ყოფილი პრეზიდენტი აირჩიოს პრემიერ-მინისტრად? თუკი „ნაციონალურ მოძრაობას“ ხალხმა კვლავ დაუჭირა მხარი, რატომ უნდა ეკრძალებოდეს მას დაასახელოს ნებისმიერი კანდიდატურა, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის პოსტზე?**

— დავიწყოთ იმით, რომ „დემოკრატია“ და „კონსტიტუციონალიზმი“ ცალკეული დემოკრატიული წესების არითმეტიკული ჯამი არ არის. არც მარტო „ფორმაა“, არც მარტო „შინაარსი“. იგი „დროისა“ და „სივრცის“ კატეგორიებით გააზრებასაც მოითხოვს. კონსტიტუცია და კანონები მოცემულ დროს მოცემული საზოგადოების რეალურ მოთხოვნილებებს უნდა ასახავდეს და მის ნამდვილ ინტერესებსა და საჭიროებებს უნდა ემსახურებოდეს; საქართველოში დემოკრატიული პროცესი კვლავინდებურად დიდი რისკის ქვეშაა და ახალი კონსტიტუცია სწორედ მისი თავიდან აცილების საზრუნავით უნდა იყოს გაჯერებული. ამიტომ, ჩვენი პოლიტიკოსების უწინარესი ამოცანა იმის შეუცდომლად განსაზღვრაა, თუ რა სჭირდება დღეს ჩვენ საზოგადოებას და ააცილოს მას ყოველგვარი საფრთხე, რაც მის მომავალს ემუქრება. დღევანდელი პოლიტიკური რეალობა ძალზე მძიმეა. ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ შეძლო ხალხისათვის უამრავი საშინაო თუ საგარეო საფრთხის აცილება, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზაზე მდგარ ქვეყანას ემუქრებოდა. ზოგჯერ კი თავად შექმნა ისინი. ასეთი რეტროსპექტივა კიდევ უფრო ცუდი პერსპექტივის მომასწავებელია და საზოგადოებას სიფხიზლისაკენ უბიძგებს. ერთ-ერთი ასეთი საფრთხის აცილება, უფრო სწორად — უკვე რეალობა, ავტორიტარიზმია, რომელშიც უკვე ჩავეფალით და კიდევ უფრო ღრმადაც ჩავეფლობით, თუ დროულად არ დავძლიეთ ის. დღეს, როგორც არასდროს, ესაჭიროება ხელისუფლებას ლაგმის ამოდება და მისი გონივრულ ფარგლებში მოქცევა. ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზირებას მოვახდენ: ხელისუფლება რყვნის, მაგრამ საქართველოში იგი განსაკუთრებით რყვნის... საქართველო იმ ქვეყანათაგანია, სადაც შეუდარებელი სილაღით ეხერხებათ ძალაუფლებით ტკბობა, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ცუდი გაგებით. რაც უფრო ხანგრძლივია ასეთი ტკბობა, მით უფრო ძნელად დასათმობია იგი და ამიტომ, მით უფრო საშიშიც. თუ ორი საპრეზიდენტო ვადის შემდეგ ყოფილ პრეზიდენტს უფლება ექნება, ყოველგვარი წყვეტის გარეშე, ახლა პრემიერ-მინისტრად მოგვევლინოს, ეს უთუოდ გამოიწვევს სახელისუფლო სისტემის შემდგომ გადაგვარებას, ვინაიდან, „ხელისუფლებაში მოსვლა“ „გამართლებას“ მოითხოვს; „ხელისუფლებაში დარჩენა“ — უფრო მეტ „გამართლებას“, ხოლო „ხანგრძლივად დარჩენა“ კი —კიდევ უფრო მეტად დამაჯერებელ „გამართლებას“. ასეთი „გამართლება“ დღეს არ არსებობს. ამიტომ ხელისუფლებაში ხანგრძლივად დარჩენის გასამართლებლად მმართველი პარტია იძულებული იქნება, „სასურველი“ კვლავ „უტყუარ სინამდვილედ“ მოგვაჩვენოს და ამისათვის კიდევ უფრო შეზღუდოს მედია, კიდევ უფრო დაიმორჩილოს სასამართლო, კიდევ უფრო მაღალტექნოლოგიურად გააყალბოს არჩევნები, კიდევ უფრო ოსტატურად მოგვაჩვენოს მისი „შეუცვლელობა“ მოდელირებული ქრონიკებისა და სხვა უამრავი საშუალებით... და იქნებ, მარადი პრეზიდენტის, ან მარადი ნაციონალური მოძრაობის იდეასაც შეგვაგუოს ნელ-ნელა. ხელისუფლების პერიოდული ცვლა აუცილებელია. დავით აღმაშენებელიც რომ გაცოცხლდეს, მისი „სამისდღეშიო“ მეფობაც კი არ იქნება დღეს გამართლებული. თანამედროვე საზოგადოებას ესაჭიროება მუდმივი განახლება, სისხლის გადასხმა, განსხვავებული ხედვების, შეხედულებების, სტრატეგიისა თუ ტაქტიკის შემოწმება. ერთპიროვნული, შეუზღუდავი და უვადო მმართველობა დამღუპველია როგორც ქვეყნის, ისე საკუთრივ ხელისუფლებისათვის. გონიერი პოლიტიკოსი თავადვე არ დაუშვებდა ამას.

**ყოველი კონსტიტუცია მოწოდებულია, გაანეიტრალოს ყოველგვარი საფრთხე, რაც სახელისუფლო სისტემისა და მმართველობის სიჯანსაღეს ემუქრება მოცემულ სახელმწიფოში. დემოკრატიულად მოაზროვნე ხელისუფლება თავად უნდა ცდილობდეს ამგვარ საფრთხეთა გაუვნებელყოფას.**

**— შემოთავაზებული წინადადების მოწინააღმდეგენი იშველიებენ იმ არგუმენტს, რომ ამგვარ აკრძალვებს სხვა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციები არ იცნობს.**

— ჩვენთვის ამოსავალი უნდა იყოს ის, თუ რა არის დღეს ჩვენი საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი. ერთი და იგივე კონსტიტუცია სხვადასხვა ტრადიციისა და კულტურის ქვეყნებში რომ იქნას ექსპერიმენტულად შემოღებული, ერთნაირად ვერ იმუშავებს. ზოგან შეიძლება გაამართლოს, ზოგან — საერთოდ ვერ იმოქმედოს და ზიანიც მოიტანოს. ინგლისში რომ საერთოდ არა აქვთ დაწერილი კონსტიტუცია, ესეც კი ამართლებს და იქ დემოკრატიას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. მაგრამ განა საქართველო დაუწერელი კონსტიტუციის პირობებში შეძლებდა დემოკრატიის დაცვას, როდესაც დაწერილი ნორმებითაც კი ვერ ახერხებს ამას? საქართველო ძლიერად ჩამორჩება ევროპულ ქვეყნებს დემოკრატიულობის ხარისხისა და ბევრი სხვა ნიშნით. მათი დღევანდელი ამოცანები არსებითად განსხვავდება ჩვენისაგან. ხსენებულ აკრძალვას თუ დემოკრატიულობის ჭრილში განვიხილავთ, უდავოა, რომ ის დემოკრატიული უფროა, ვიდრე ანტიდემოკრატიული. ეს არის ხელისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ფორმა. დემოკრატია კი, უწინარესად, სწორედ ხალხის მიერ ხელისუფლების შეზღუდვაა, არა თუ თვითნებობისა და განუკითხაობის დამკვიდრება. დემოკრატიის მაღალ დონესთან კი მაშინა გვაქვს საქმე, როდესაც საკუთრივ ხელისუფლებას გააჩნია თვითშეზღუდვის კულტურა და საამისო რესურსი. თვითშეზღუდვა მხოლოდ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობით გამსჭვალულ ხელისუფლებას ძალუძს, რომელიც ქვეყნის მომავალზეა ორიენტირებული და არა ძალაუფლების შენარჩუნებაზე. ამიტომაც მოგახსენეთ ზემოთ, რომ ეს ინიციატივა სწორედ ხელისუფლებიდან უნდა წამოსულიყო და არა ოპოზიციური ძალებიდან. ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებას დღეს ყველაზე მეტად სწორედ თვითშეზღუდვის კულტურა აკლია, ამგვარი შემზღუდველი დებულებების გათვალისწინება კონსტიტუციაში უაღრესად მნიშვნელოვანია. მას მე „დემოკრატიის იძულებას“ ვუწოდებდი. საფრანგეთში ერთი და იმავე პირის პრეზიდენტად არჩევის შესაძლებლობა შეზღუდული არ არის. იგი იმდენჯერ შეიძლება იქნეს ზედიზედ არჩეული, რამდენჯერაც აირჩევენ. მაგრამ იქ ასეთი შეზღუდვების დაწესება, „დემოკრატიის ამგვარი იძულება“ საჭირო არ არის. იქ არჩევნები ნამდვილად არ ყალბდება, მედია თავისუფალია, სახელისუფლო პროპაგანდას არ ეწევა და მოდელირებული ქრონიკებით ხალხს არ აშანტაჟებს. იქ ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრა იოლი არ არის; იქ არც გირგვლიანის მკვლელობა მოხდებოდა, და თუ მოხდებოდა, ხელისუფლებას არავინ აპატიებდა ამას; არც თვითონ იპატიებდა — უსათუოდ გადადგებოდნენ დიდიან-პატარიანად. იქ ხელისუფლების უზურპაციის საწინააღმდეგოდ სხვა უამრავი ბერკეტი მოქმედებს ეფექტიანად და იმდენი ხანია მოქმედებს, რომ დემოკრატიული ნორმები ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, ცხოვრების წესადაა ქცეული და ხელისუფლების უკანონოდ მითვისების მცირედი საფრთხეც კი არ არსებობს. ამიტომ, ყოველი ქვეყნის კონსტიტუცია უნდა უზრუნველყოფდეს დაცვას იმისაგან, რაც საფრთხედ შეიძლება ექცეს მოცემულ საზოგადოებას მომავალში. იქ, სადაც ქურდობა არ ხდება, კარს საერთოდ არ კეტავენ. ხოლო სადაც ხშირია, კარსაც კეტავენ და სიგნალიზაციასაც აყენებენ. დიახ, კონსტიტუციამ უნდა გადაუკეტოს გზა სახელისუფლო თვითნებობას, ერთპიროვნულ უვადო მმართველობას და დაიცვას საზოგადოება ამ საფრთხისაგან.

**— როგორ ფიქრობთ, იქნებოდა თუ არა ეს საკითხი აქტუალური, დღის წესრიგში რომ არ იდგეს საპარლამენტო რესპუბლიკის შემოღება?**

— დიახ, მაინც იქნებოდა აქტუალური. რუსეთში არ შემოუღიათ საპარლამენტო რესპუბლიკა, მაგრამ განა პოზიტიურად უნდა შეფასდეს პუტინის გადანაცვლება პრემიერ-მინისტრის პოსტზე? განა იკლო მისმა ხელისუფლებამ და გავლენამ რუსეთში? განა ის კვლავ „პირველი“ არ არის? განა კვლავ მისი კლანები არ ბატონობენ ხელისუფლებაში? რა თქმა უნდა, საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის პირობებში ეს კიდევ უფრო მიუღებელია, რადგან აქ ისედაც პრემიერ-მინისტრია „პირველი“. შესაბამისად, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ახლა, საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტოზე გადასვლის გარდამავალ ეტაპზე მაინც დაწესდეს ერთი სახელისუფლო მწვერვალიდან მეორეზე გადანაცვლების აკრძალვა.

ინფორმაცია

### ვერა ქობალიას პირველი მსხვერპლნი

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში 16 ივლისს თანამშრომლების არყოფნის ფაქტი დაადასტურა.**

**როგორც ვერა ქობალიამ განაცხადა, იგი რამდენიმე დღის წინ მართლაც იმყოფებოდა თავისუფლების მოედანზე მდებარე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში, სადაც მას მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელი დახვდა.**

**— ფაქტს ვადასტურებ. მისული ვიყავი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში დღის მეორე ნახევარში, რომელიც დაკეტილი არ იყო, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელი იმყოფებოდა, დანარჩენები კი წასულები დამხვდნენ. ამიტომ იმ ადამიანებს, ვინც თვლიდნენ, რომ იმ დროს სამსახურში აღარ უნდა ყოფილიყვნენ, მოუწევთ ახალი სამსახურის მოძებნა, — აღნიშნა ქობალიამ.**

### გიორგეთი — კატასტროფის წინაშე

**სოფელი გიორგეთი, სადაც 500-მდე კომლი ცხოვრობს, ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას. საქართველოში ერთ-ერთი მძლავრი მდინარე კაბალი სოფელს სეზონურად მიტაცებით ემუქრება. ამის შესახებ ინფორმაციას კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი ავრცელებს.**

**— სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 80% დატბორილია და ქვიშითა და რიყის ქვით არის სავსე. ადგილობრივები შიშობენ, რომ 2-3 წლის შემდეგ, დასამუშავებელი მიწა და საძოვარი აღარ დარჩებათ. ბევრი ნაკვეთი უვარგისობის გამო მიტოვებულია. ზოგ ადგილას მდინარე კაბალი სოფელს 100 მეტრით უახლოვდება, რაც ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ასოციაციის წარმომადგენელმა რეზო გეთიაშვილმა.**

**— ერთ-ერთ გიორგეთელ ფერმერს სტიქიამ 2009 წელს 7000 კვ.მ სახნავი მიწის ნაკვეთი წაართვა. იმის გამო, რომ კაბალის ნაპირებზე დამცავი ნაგებობები მოშლილია ან საერთოდ აღარ არის, მიმდებარე საძოვრები რიყნარებად და ნაგავსაყრელადაა გადაქცეული, — აღნიშნეს ასოციაცია.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 140. ოთხშაბათი, 28 ივლისი, 2010 წელი.

მიმაჩნია, რომ პრეზიდენტს არა მარტო პრემიერ-მინისტრად, არამედ პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის უფლებაც უნდა შეეზღუდოს. ასეთი აკრძალვების შემოღება თუნდაც იმიტომ ღირს, რომ რუსეთისაგან განვისხვავოთ თავი, რომლის დემოკრატიულობას ასე ხაზგასმით ვაკრიტიკებთ. თუ მის გზას გავყვებით, თუ პუტინიზაციის გზას ავირჩევთ, ამ კრიტიკის უფლებაც აღარ გვექნება. ხოლო თუ მასზე უარს ვიტყოდით, ეს იქნებოდა დიდი მორალური უპირატესობა, ჩვენი სამართლებრივი კულტურის, მოქალაქეობრივი შეგნების მაღალი დონის, პოლიტიკური სიმწიფის დადასტურება. გონიერი ხელისუფალი უთუოდ გამოიყენებდა ამ შანსს საკუთარი თავისა და ქვეყნის სასარგებლოდ.

**— ქალბატონო ევა, როგორც ცნობილია, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ სწორედ დემოკრატიულობის ნიშნით „დაიწუნა“ ოპოზიციის ეს შეთავაზება. კომისიის წევრთა აზრით, მოქმედი პრეზიდენტის პრემიერ-მინისტრად არჩევის აკრძალვა ანტიდემოკრატიულია, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს. რას იტყვით ამაზე?**

ან კომიტეტის თავმჯდომარე და ა.შ.; ასე რომ შემოთავაზებული აკრძალვა არ ეწინააღმდეგება თავისუფალი არჩევნების უფლებას. ის არ შეიძლება განხილულ იქნას არც როგორც „დისკრიმინაცია“ პოლიტიკური კუთვნილების ან რაიმე სხვა ნიშნით; ამაზე სერიოზული მსჯელობაც კი უხერხულია. მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ „დისკრიმინაციის აკრძალვა“ სულაც არ გამორიცხავს დიფერენცირებულ მიდგომას გარკვეულ სუბიექტთა მიმართ როგორც შეზღუდვის, ისე უპირატესობის დაწესების სფეროში, ვინაიდან, ხანდახან სწორედ დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით მიიღწევა სამართლიანობა.

თუ ადამიანთა მიმართ დიფერენცირებული მიდგომა სამართლიანობას ემსახურება, ის აღარ არის „დისკრიმინაცია“ მისი სამართლებრივი გაგებით. გარდა ამისა, ადამიანის ძირითად უფლებათა უმეტესობა აბსოლუტური არ არის და დასაშვებადაა მიჩნეული გარკვეული კატეგორიის სუბიექტთა შეზღუდვა უფლება-მოვალეობების ერთიანობიდან გამომდინარე. მაგალითად, საკუთრივ საარჩევნო უფლება, რომ მისი ეს სამდურავი ნამდვილად არ იქნება გაზიარებული.

ირონია იქით იყოს და რომც დავუშვათ, რომ პრემიერ-მინისტრად არჩევის უფლება არსებობს, მისი დროებითი – 5 წლით შეზღუდვა მაინც ვერაფრით იქნება მიჩნეული გაუმართლებლად სამართლებრივი, პოლიტიკური, მორალური თუ ნებისმიერი სხვა თვალსაზრისით. ბოლოს და ბოლოს ადამიანის უფლებათა სამართალში არსებობს ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრის გზები: როდესაც ორი ღირებულება, ადამიანის ორი სხვადასხვა უფლება თუ სხვა სიკეთე უპირისპირდება ერთმანეთს, უპირატესობა ენიჭება უფრო მნიშვნელოვან, დიდ ღირებულებასა და სიკეთეს. ხელისუფლების სიჯანსაღის უზრუნველყოფა ის ღირებულებაა, რომელიც ათასჯერ გამედ მისი აბუჩად აგდებაა. ეს არის ხალხის თამაშგარე მდგომარეობაში ჩაყენება ხელოვნურად, თვალთმაქცურად. ერთ თვეს და ზოგჯერ მეტს ადვოკატს აძლევენ ხოლმე საქმის გასაცნობად, რათა მან თავისი კლიენტის სრულყოფილი დაცვა განახორციელოს სასამართლოში. ერთი თვე საკონსტიტუციო ცვლილებების ჯეროვნად გასააზრებლად არა თუ გონივრული ვადა არ არის, არამედ იმდენად მცირეა, რომ მას, პირადად მე, მხოლოდ შეურაცხყოფად აღვიქვამ. 6 თვე მაინც უნდა იყოს ამისათვის გამოყოფილი. თუ საზოგადოებას არ ექნა საკმარისი დრო კონსტიტუციის პროექტის გასაცნობად, მას ასევე აღეკვეთება „დაცვის უფლება“ კონსტიტუციით მისი ინტერესების სავარაუდო შელახვისაგან; უფრო მეტიც: მას აღეკვეთება უმთავრესი უფლება, თავად განსაზღვროს თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობა და მისი მომავალი. ასეთი კონსტიტუცია არ და ვერ იქნება ხალხის ინტერესებისა და საჭიროებების გამომხატველი, მისი საყოველთაო ნების დამადასტურებელი და ლეგიტიმური. კონსტიტუციას ლეგიტიმაციას ხალხი აძლევს და არა ვენეციის ან ფლორენციის კომისია. კონსტიტუციის ავტორი ხალხია და არა საკონსტიტუციო კომისია ან პარლამენტი. შემთხვევითი არ არის, რომ აშშ-ს კონსტიტუცია ამ სიტყვებით იწყება: „ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი“.. თუ ხელისუფლებამ არ უზრუნველყო ხალხის საკმარისად ინფორმირებულობა კონსტიტუციის პროექტის შესახებ, ხმის ბრმად მიცემა ვერ შესძენს მას აუცილებელ ლეგიტიმაციას, ხალხი ვერ გახდება მისი ავტორი, იმის მიუხედავად, ჩავწერთ თუ არა მასში სიტყვებს — „ჩვენ, საქართველოს ხალხი. კონსტიტუცია ხალხის ნება-სურვილის, მისდამი შინაგანი თანხმობის გამომხატველი უნდა იყოს. შესაბამისად, თუ ხალხს წესიერად არც კი ეცოდინება, რა კონსტიტუციას აძლევს ხმას, ვერც მის დაცვას, მის შესაბამისად ცხოვრებას მოვთხოვთ. ასე რომ კონსტიტუციონალიზმი, რომელიც სწორედ კონსტიტუციის შესაბამისად ცხოვრებას გულისხმობს, როგორც ჩანს, ვერც ამ კონსტიტუციის საფუძველზე დამკვიდრდება საქართველოში. ასეთია ჩემი ნაღვლიანი პროგნოზი.

> **ხელისუფლება რყვნის, მაგრამ საქართველოში იგი განსაკუთრებით რყვნის... საქართველო იმ ქვეყანათაგანია, სადაც შეუდარებელი სილაღით ეხერხებათ ძალაუფლებით ტკბობა, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ცუდი გაგებით. რაც უფრო ხანგრძლივია ასეთი ტკბობა, მით უფრო ძნელად დასათმობია იგი და ამიტომ, მით უფრო საშიშიც.**

# გზას გავყვებით?..

## სისტემის შემდგომ გადაგვარებას

—ჩემი აზრით, ეს ყველაზე უფრო სუსტი არგუმენტია ამ აკრძალვის შემოღების საწინააღმდეგოდ. იგი საერთოდ არ არის „არგუმენტი“. იგი საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა და არა მოსაზრება, რომელსაც თუნდაც გარკვეული გონივრული საფუძველი გააჩნია. ჯერ ერთი, „პრემიერ-მინისტრად არჩევის უფლება“ არ არსებობს. ასეთ „უფლებას“ მე არ ვიცნობ. ადამიანის უფლებათა არც ერთი აქტი, ისევე როგორც ჩვენი მოქმედი თუ მომავალი კონსტიტუცია, ასეთ უფლებას არ ითვალისწინებს და არც შეიძლება ითვალისწინებდეს. არც რომელიმე სხვა უფლების იმგვარი ინტრპრეტაციაა შესაძლებელი, რომ იგი მასში ვიგულისხმოთ. მაგალითად, პასიური საარჩევნო უფლება გულისხმობს ადამიანის იმ უფლებას, რომ არჩეულ იქნეს წარმომადგენლობით საკანონმდებლო ორგანოში. ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული აკრძალვის შემოღება სრულიადაც არ გულისხმობს პრეზიდენტისათვის იმ უფლების წართმევასაც, რომ იგი არჩეულ იქნას პარლამენტის წევრად, გახდეს რომელიმე ფრაქციის ბა, ეზღუდებათ პატიმრებს, უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უშვებს უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვას; ის აგრეთვე ნებას რთავს სახელმწიფოს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებათა განხორციელებაზე დააწესოს შეზღუდვები შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ. მოსამართლეებს, მათ შორის ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ეკრძალებათ პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანება; სახელმწიფო მოხელეებს, რომლებსაც ევალებათ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა, ეზღუდებათ პოლიტიკურ საკითხებზე აზრის გამოხატვის თავისუფლება. გარდა ამისა, ყოველგვარი თავისუფლება, მათ შორის გამოხატვისა, შეკრებისა და გაერთიანებისა, სინდისისა და რელიგიისა და სხვა, შეიძლება შეიზღუდოს საჯარო და სხვა პირთა უფლებების დასაცავად, თუ (ევროპული კონვენციის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ) ეს „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ნაკარნახევია „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“ და თანაზომიერია იმ კანონიერი მიზნისა, რასაც მისი შეზღუდვა ემსახურება. ასე რომ თუ ბატონი პრეზიდენტი სტრასბურგის სასამართლოს მიმართავს თავისი უფლების შეზღუდვის სამდურავით—ეს რა ქნეს, 10 წლით პრეზიდენტობის შემდეგ, 5 წლით პირველკაცობის უფლება შემიზღუდესო — გარწმუნებთ, დასწონის პიროვნების „უფლებას“, დარჩეს პირველ კაცად ხელისუფლებაში, მით უმეტეს, კი — მის ამბიციასა და ყველაფრის წამლეკავ სურვილს, დაუბრკოლებლად და შეუსვენებლად განაგრძოს ხელისუფლებით ტკბობა. ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა ახსოვდეთ, და თუ არ ახსოვთ, შევახსენებ, რომ ისინი ხალხის მიერ დაქირავებული მსახურნი არიან და უფლება არა აქვთ სახელისუფლო გავლენა, კონსტიტუციები თუ კანონები საკუთარ ინტერესებს მოარგონ და ისინი ქვეყნის რეალური საჭიროებების საწინააღმდეგოდ გამოიყენონ.



> **მიმაჩნია, რომ პრეზიდენტს არა მარტო პრემიერ-მინისტრად, არამედ პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის უფლებაც უნდა შეეზღუდოს. ასეთი აკრძალვების შემოღება თუნდაც იმიტომ ღირს, რომ რუსეთისაგან განვისხვავოთ თავი, რომლის დემოკრატიულობას ასე ხაზგასმით ვაკრიტიკებთ. თუ მის გზას გავყვებით, თუ პუტინიზაციის გზას ავირჩევთ, ამ კრიტიკის უფლებაც აღარ გვექნება. ხოლო თუ უარს ვიტყოდით, ეს იქნებოდა დიდი მორალური უპირატესობა, ჩვენი სამართლებრივი კულტურის, მოქალაქეობრივი შეგნების მაღალი დონის, პოლიტიკური სიმწიფის დადასტურება. გონიერი ხელისუფალი უთუოდ გამოიყენებდა ამ შანსს საკუთარი თავისა და ქვეყნის სასარგებლოდ.**

**— როგორც თქვენ ბრძანებთ, ამ საკითხზე აქტიური საჯარო დებატები უნდა გაიმართოს. მაგრამ როდის და სად, ქალბატონო ევა, საკონსტიტუციო ცვლილებების საერთო-სახალხო განხილვისათვის მხოლოდ ერთი თვეა განკუთვნილი, თანაც, თითქოს დამიზნებით — ყველაზე უფრო „მკვდარი თვე“ პოლიტიკური აქტივობის თვალსაზრისით.**

—ეს, რა თქმა უნდა, განგებ ხდება. პლაჟზე წამოწოლილ ჩვენს მოქალაქეებს, ალბათ არც დრო ექნებათ და არც განწყობა, რომ, კონსტიტუციის პროექტზე იფიქრონ, გაარჩიონ, რა არის მათთვის მისაღები თუ მიუღებელი, პროფესიონალების აზრი მოისმინონ და საკუთარი აზრი შეიმუშაონ. ხალხის მიმართ ასეთი დამოკიდებულება ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ უპასუხისმგებლობა კი არ არის, არა-

**ქალბატონ ევა გოცირიძეს ესაუბრა**
**გურამ წიკლაური**

◉ დავა

# ქოქოლა „თიბისი ბანკს“ ქოქოლაძისგან

**ანზორ ქოქოლაძემ „თიბისი ბანკის“ გენერალურ დირექტორ ვახტანგ ბუცხრიკიძეს წერილობით მიმართა, რომელშიც „ელიტ ელექტრონიქსის“ აქციების 55%-ის სამმაგ ფასად გამოსყიდვას და ყველა ვალდებულების რეაბილიტაციის გეგმით დაფარვას სთავაზობს, რასაც ახალი მენეჯმენტი ვერ ასრულებს.**

**თუ ნამდვილად სიმართლეა, რომ „თიბისი ბანკი“ მხოლოდ თავისი ვალის შემცირებით იყო დაინტერესებული და თუ „თიბისი ბანკი“ მართლა მიიჩნევს რომ „ელიტ-ელექტრონიქსის“ 55%, 116 ათასი ლარი ღირდა, რა ფასადაც ფარულად გადაიფორმა, მე სამჯერ მეტს ვუხდი ამ აქციების სანაცვლოდ, — აცხადებს „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელი და ყოფილი მმართველი ანზორ ქოქოლაძე.**

**ანზორ ქოქოლაძე იმასაც აცხადებს, რომ „თიბისი ბანკმა“ ყოვლად გაუმართლებელი და არაკეთილსინდისიერი გზებით მიითვისა „ელიტ ელექტრონიქსის“ აქციები. „თიბისი ბანკი“ მართლა რომ ყოფილიყო დაინტერესებული მხოლოდ საკუთარი ვალის შემცირებით, 2010 წლის იანვრის თვეში არ გამოისყიდდა არც იმ 1,300,000 დოლარს „სახალხო ბანკისგან“, რომელიც „ელიტ ელექტრონიქსს“ კრედიტის სახით ჰქონდა მიღებული სახალხო ბანკისგან და არც „ელიტ ელექტრონიქსის“ იმ აქციების 55%-ს შეისყიდდა ფარულად, რომლის ოფიციალური მმართველი ისედაც იყო.**

ჯი-ეიჩ-ენი



## ვაი რეფორმებისგან

# კვლავ ეროვნულობის დაცვის თაობაზე

**ამ ბოლო დროს ვცდილობ, აღარ ჩავერიო პოლიტიკურ დებატებში, მაგრამ ვერ ვახერხებ მიმდინარე პროცესების მიმართ სრულიად გულგრილი ვიყო, ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია ისეთ საკითხებზე აზრის გამოთქმა, რომელთა განხილვაში ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი სასიცოცხლო გამოცდილება, ჩემი განათლება თუ ეროვნული მრწამსი მაძლევს უფლებას ჩავერიო.**

სწორედ ამით აიხსნება, რომ პირველად წლევანდელ მაისში გაზეთში „ქართული სიტყვა“, შემდეგ იმავე გაზეთის 7-13 ივლისის ნომრებში, ხოლო შემდეგ გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (22.VII,2010წ) გამოვთქვი უაღრესი შეშფოთება იმ პრობლემაზე, რომელიც ეხება ჩვენში ზნეობრიობის აშკარა დეგრადაციას და ეროვნულობის კარგვას, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენისთანა პატარა ერისთვის არსებითად ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვასა და ერის გადაშენებას მოასწავებს.

ამ პროცესის ერთ-ერთი აშკარა გამოვლინება და მიზეზი, ჩემი აზრით, არის ჩვენში 2005 წლის შემდეგ ჩატარებული განათლებისა და მეცნიერების ე.წ. „რეფორმა“, რომელშიც ეს არის არსებობის ყველაზე პრიორიტეტული დარგების სრულ კრახამდე მიყვანა, ხოლო ამჟამად საქართველოს ეროვნული აკადემიის ფაქტობრივად უფუნქციოდ დატოვებით, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლიკვიდაციით ეს პროცესი არსებითად დაამთავრეს... დაამგვირგვინა.

ჯერ კიდევ 20 ივლისის გაზეთ „რეზონანსში“ დაიბეჭდა აკადემიკოს ივანე კილურაძის „ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბატონ დიმიტრი შაშკინს“, რომელიც 21 ივლისს კვლავ გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, მხოლოდ უფრო მკვეთრი სათაურით: „ყველას, ვინც დღეს ქართული მეცნიერების, კულტურისა და სულიერების ამოძირკვას ცდილობს, არც თუ შორეულ მომავალში მკაცრად მოეკითხება!“ ამავე გაზეთში დაიბეჭდა ცნობილი პოლიტიკოსისა და მეცნიერის მერაბ ჯიბლაძის სტატიაც: „მეცნიერებას განაჩენი გამოუტანეს: მან არსებობა უნდა შეწყვიტოს“.

23 ივლისს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ გიორგი ფუტკარაძის სტატია: „მეცნიერები კვლევითი ინსტიტუტების ლიკვიდაციის შეჩერებას ითხოვენ“, სადაც კვლავ ბატონ ივანე კილურაძის და მასთან ერთად სხვა მეცნიერთა (თემურ ნანეიშვილის, თამაზ მარსაგიშვილისძ პროტესტებია დაფიქსირებული. 24 ივლისს მეცნიერთა პროტესტს მხარი ლეიბორისტულმა პარტიამაც დაუჭირა.

ი.კილურაძე თავის პროტესტს ამთავრებს განცხადებით: „სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დანგრევას იმ სამეცნიერო სკოლების განადგურება მოჰყვება, რომელთა ჩამოყალიბებას ათეული წლები დასჭირდა და რომელთა წყალობითაც საქართველო მსოფლიოს ინტელექტუალურ რუკაზე დამკვიდრდა, მეცნიერების სიკვდილს კი, ბუნებრივია, მოჰყვება უმაღლესი და საშუალო სკოლების სიკვდილი, ანუ ქვეყნის საბოლოო გამოთაყვანება“.

მინდა გამოვთქვა დიდი კმაყოფილება, რომ ცნობილმა მეცნიერებმა დასტური მისცეს ჩემს შეშფოთებას, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ იმ რეფორმებს, რომლებიც დღეს ტარდება, ჩემი აზრით, არა მარტო „გამოთაყვანება“ მოჰყვება, არამედ ერის საერთო გაქრობა, აღგვა პირისაგან მიწისა!

რაც შეეხება მ.ჯიბლაძის სტატიას, მე, ცხადია, ვიზიარებ მის ძირითად თეზას, მაგრამ მის მიმართ საკმაოდ სერიოზული შენიშვნები მაქვს. პატივცემული ავტორი, რომელიც 1992 წ. განათლების მინისტრის მოადგილე ბრძანდებოდა უმაღლესი განათლების დარგში, სტატიას იწყებს მისი საუბრის გადმოცემით ამერიკის საელჩოს ატაშესთან ვინმე პაჩისონთან. არ დავიწყებ ამ საუბრის შინაარსის გადმოცემას, ის ცხადია სრული მარაზმია; მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რისთვის დასჭირდა მ.ჯიბლაძეს ამ ატაშეს სისულელეების ამჟამად მოთხრობა, ნუთუ მას ჰგონია, რომ ან მაშინ, ან მოგვიანებით მათ ვინმე უგდებდა ყურს.

ასევე აბსოლუტურად გაუმართლებელია მტკიცება, რომ თითქოს 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში „ასეთი რჩევის“ გავლენით ჩაიწერა მუხლი, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფდა ცხრაწლიან განათლებას“. შეიძლება ამ მუხლის რომელიმე შავ ვარიანტში, მართლაც, იყო ასეთი რამ, მაგრამ როგორც იმ კონსტიტუციის მომამზადებელი კომისიის წევრი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არაფერი მაგდაგვარი პროექტში არ ყოფილა. ეს მუხლი იმთავითვე ასე იყო ფორმულირებული: „სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას, მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება“ (მუხლი 35), იგივე ფორმულირებაა 2000 წელს ცვლილებებით გამოცემულ კონსტიტუციაში.

სამწუხაროა, რომ მ.ჯიბლაძის ეს დასჭირდა იმის სამტკიცებლად, რომ თითქოს „მეცნიერების მკვლელობა მეთოდურად დაიწყო“ შევარდნაძის ხელისუფლებამ, ხოლო მის მიერ „დასმულმა“ დღევანდელმა ხელისუფლებამ „კიდევ უფრო მძაფრად შეუტია“. აქვე მოტანილია მტკიცება, რომ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის ხელფასი სულ 14 ლარი იყო და მხოლოდ თემურ შაშიაშვილმა ქუთაისელ პროფესორებს 150 ლარი ხელფასი დაუნიშნა (!ძ, ეს ხომ აშკარა სიყალბეა! დიახ, თ. შაშიაშვილმა მართლაც მოახერხა ქუთაისელი პროფესორებისთვის უფრო მაღალი ხელფასების დანიშვნა, მაგრამ 14 ლარი არც თბილისის უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლებს, მით უფრო პროფესორებს არასდროს ჰქონიათ.


ეროვნულობის დაკარგვა ერის გადაშენების მომასწავებელია

იმ წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ერთ-ერთი განყოფილების გამგე და, ამასთან, ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ვიყავი, ამიტომ ამ საკითხში, საკმაოდ კარგად ვერკვევი. როდესაც „კუპონების“ საშინელი პერიოდი ლარმა შეცვალა, ხელფასები მართლაც ძალზე მცირე იყო, 14 ლარი იყო პენსიის ყველაზე დაბალი განაკვეთი, მაგრამ ხელფასები 1994-1998 წლებში არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში და აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში არ იყო 36 ლარზე დაბალი (ტექნიკური პერსონალისთვისძ, ხოლო მეცნიერი თანამშრომლები ღებულობდნენ საშუალოდ 45-60 ლარს, თანაც შემდეგ წლებში ეს განაკვეთი იზრდებოდა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში 1999 წელს უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ღებულობდა 45 ლარს, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 61 ლარს, წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი – 79 ლარს, განყოფილების გამგე – 88 ლარს. ასეთი ვითარებაში ხომ შეუძლებელია უნივერსიტეტის პროფესორს ჰქონოდა 14 ლარი, მეტყვით – დიდი განსხვავება არააო, მაგრამ დიახაც 14 ლართან შედარებით განსხვავება დიდია, თანაც მსყიდველობითი უნარი ახალ ლარს მეტი ჰქონდა. რაც მთავარია, როდესაც ვინმეს დადანაშაულება გინდა, ხომ უნდა გამოიყენო რეალური, სწორი, გაუყალბებული ბრალდებები.

და საერთოდ, ბოლოს და ბოლოს არ უნდა მოვეშვათ ედუარდ შევარდნაძის სრულიად დაუმსახურებელ, გაუმართლებელ, ყალბ დადანაშაულებებს ათასგვარ ისეთ ქმედებებში, რომლებიც მიახლოებითაც არაა ახლო სიმართლესთან, მისი ღვაწლის ობიექტურ და რეალურ შეფასებასთან? ე.შევარდნაძემ წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით მიიღო ქვეყანა, რომელიც ისეთ ქაოსში, ისეთ სიდუხჭირეში, არსებითად სახელმწიფოს არარსებობის პირობებში იმყოფებოდა, რომ, ბუნებრივია და კანონზომიერი, რომ ამას ერთბაშად არ ეშველებოდა. მაგრამ მალე მან მოახერხა ქვეყნის კოლაფსიდან გამოყვანა, შეიარაღებულ ბანდფორმირებათა თარეშის აღკვეთა; ქართული სახელმწიფოებრიობა აღიარეს მსოფლიოს მთავარმა სახელმწიფოებმა, ქვეყანაში დაიწყო რიგ ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელება და ამ საფუძველზე კულტურის, მეცნიერების, განათლების აქტიური სტიმულირება; საქართველომ შეიძინა სახელმწიფოებრივი ფუნქცია, თუ ჩემი ეს შეფასება არ გჯერათ, წაიკითხეთ ედ.შევარდნაძის ღვაწლის შეფასება ჭაბუა ამირეჯიბის, ჯანსუღ ჩარკვიანის, რევაზ ამაშუკელის, გია ლომიძის და სხვათა მიერ, თუ საჭირო გახდება. ამ ყოველივეს მე უფრო სრულად და სათანადო არგუმენტაციით მოგახსენებთ.

ასევე სრულიად უმართებულოა ედ.შევარდნაძისთვის დაბრალება, თითქოს 2004 წლის გადატრიალება და შემდგომი „რეფორმები“ განახორციელეს მის მიერ „დასმულმა“თუ „გამოზრდილმა“ პირებმა. ისინი უკვე „გამოზრდილები“ მოვიდნენ თანდათან და ეტაპობრივად ჯერ „მოქალაქეთა კავშირში“, რომელიც თავდაპირველად საქართველოს (პირველ რიგში თბილისისძ ღირსეული მოქალაქეების მიერ იყო დაარსებული და უმძიმეს პერიოდში ბევრი რამ სასარგებლო გააკეთა ქვეყნისათვის (ამ საკითხზე იხ.გია ლომაძე, ენითხუროები, 2002წ. და აი აქ, 1995 წლიდან გააქტიურდნენ ახალგაზრდები ზურაბ ჟვანიას მეთაურობით, ნელ-ნელა ხელში ჩაიგდეს წამყვანი როლი, ჯერ როგორც თავგამოდებულმა მხარდამჭერებმა სახელმწიფოს მეთაურისა და მისი პოლიტიკური კონცეფციებისა. აი სწორედ ამან შეიყვანა შეცდომაში ედ.შევარდნაძე, რომელმაც უდავოდ სტრატეგიულად სწორი არჩევანი გააკეთა, როცა ახალგაზრდა, თან თითქოს განათლებულ და პერსპექტიულ თაობაზე სცადა დაყრდნობა, ხოლო რა შედეგი მიიღო თვითონ მან, სხვათა შორის, ზურაბ ჟვანიამაც და ყველამ ჩვენც, კარგად დავინახეთ. მოუვიდა შეცდომა ედ.შევარდნაძეს? ალბათ ასეა, მაგრამ შეუმცდარი ადამიანი არ არსებობს და ამის გამო არ შეიძლება დავკარგოთ მადლიერების გრძნობა და დავივიწყოთ ის დადებითი, რაც მან ქვეყნისთვის გააკეთა.

მთავარი და გადამწყვეტი კი დღეს არის, ვიბრძოლოთ ეროვნულობის დაცვისთვის, ეროვნული მეცნიერებისა და განათლების ხელყოფის წინააღმდეგ, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი ერის თვითმყოფადობა.

**ნოდარ ლომოური**

## სოფელს მივხედოთ, სოფელს!

# ყანებს თაგვი შეესია

**საქართველოს „პურის ბეღელად“ წოდებული შირაქის ველი მიმდინარე წელს ხორბლის უხვი მოსავლით ვერ დაიკვეხნის და აქედან გამომდინარე, ვერც ქვეყნის შიდა ბაზრის ადგილობრივი პროდუქციით გაჯერებას შეძლებს.**

შირაქში პრობლემები ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო. გადაუღებელი წვიმების შედეგად ყანას დაავადება „ჟანგი“ გაუჩნდა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზიანა ხორბლის ნათესები. ამასთან მინდორში გაჩნდა დიდი რაოდენობის თაგვი, რომლის ლიკვიდაციაც ფერმერებმა ვერაფრით მოახერხეს. – „თაგვის წამალი ნაკვეთში ექვსჯერ მაინც შევიტანეთ, მაგრამ მათი რიცხვი ოდნავადაც არ შემცირებულა“ – აცხადებენ დედოფლისწყაროელი მიწათმოსარგებლეები და დასძენენ, რომ თაგვმა მათი მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა... გააჩანაგა. შხამქიმიკატების დაბალ ხარისხზე ფერმერები დაუფარავად ლაპარაკობენ და ამასთან დაკავშირებით უკვე ხუმრობენ კიდეც. „თაგვის წამალი ჭურჭელში ჩაყარეს და შიგ თაგვი ჩასვეს. მან წამალი მოასუფთავა, ჭურჭლიდან ამოხტა და გაიქცა. აი, ასეთი „ხარისხიანი“ შხამქიმიკატები შემოაქვთ და ამაში გვახდევინებენ ფულს“ – აცხადებდნენ დედოფლისწყაროელი გლეხები და მთავრობისაგან მოითხოვენ, ფალსიფიკაცია აღმოიფხვრას და საქართველოში ხარისხიანი შხამქიმიკატები შემოვიდეს. წლევანდელი ხორბლის ნათესებს თაგვის გარდა, მოგვიანებით, კალიაც შეესია და მანაც სერიოზული ზიანი მიაყენა.

დედოფლისწყაროელი მიწათმოსარგებლეების ინფორმაციით, საშემოდგომო კულტურები გაცილებით ნაკლებ ფართობზე დაითესა. დედოფლისწყაროში 45 000 ჰექტარიდან წელს სულ 15 000 ჰექტარია დამუშავებული. ეს ძალიან მცირეა. ბევ-



რმა ფერმერმა მიწის დამუშავება ფინანსური პრობლემების გამო ვერ შეძლო. „ბოლო 3-4 წელია, რაც 2000 წლის გაუქმებული გადასახადი კვლავ აღადგინეს და მასზე დარიცხულმა საურავებმა კოლოსალური თანხა შეადგინა. სწორედ ამის გამოა, რომ დედოფლისწყაროელ ფერმერთა უმრავლესობის ქონება დაყადაღებულია და ბანკიდან კრედიტების აღებაზე, ბუნებრივია, საუბარიც აღარაა. ყადაღის გამო ისინი ქონების გაყიდვასაც ვეღარ ახერხებენ, ვერც კრედიტს იღებენ და მომავალ წელსაც შიშით უყურებენ, რადგან ხორბლის თვითღირებულება 50 თეთრი მაინც ჯდება, მისი ფასი კი ჯერ 40 თეთრია, თუმცა ამ ფასზეც კი მყიდველი არ ჩანს.

„საწვავზე ფასები ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა თესლისა და მოსავლის აღების დროა. ამას ემატება ტექნიკის დეფიციტიც. მართალია შემოიტანეს ახალი კომბაინები, მაგრამ მათი მომსახურება საკმაოდ ძვირია. 1 ჰა მოსავლის აღებაში 90 ლარი უნდა გადაიხადონ, ხოლო ძველი ტექნიკის მოლოდინში (საკმაოდ დიდი რიგებიაძ მოსავლის ხარისხი ფუჭდება, ამიტომაც გლეხების უმრავლესობას ყანაში კომბაინი ვერ შეუტანია.

იმედია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის ავთანდილ ლეკაშვილის ინიციატივით საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები სასიკეთოდ წაადგება ყველა მიწის მესაკუთრეს. ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მიწის მესაკუთრე მხოლოდ წლიური 200 000-ლარიანი შემოსავლის შემთხვევაში დაიბეგრება, ძველი კოდექსის მიხედვით კი დაბეგვრა 10 000 ლარზე იყო გათვალისწინებული.

მანამდე კი, სანამ ხორბლის რეალიზაციას მოახერხებენ, თანაც სასურველ ფასად, მათ სერიოზული თანადგომა სჭირდებათ სახელმწიფოსგან, თუნდაც ისეთი, როგორიც ევროპის განვითარებულ ქვეყნებშია – იაფი კრედიტის პროგრამა, უპროცენტო სესხი, ანდა სულაც, სახელმწიფო დოტაცია. პური ხომ ერთ-ერთი სასიცოცხლო პროდუქტია მთელი მოსახლეობისთვის.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

## მოსავალი – 2010

# გორელების მინდვრებში ალოობაა

**არანაირი ალოობის აგიტპუნქტები, პლაკატები, კომბაინერთათვის ლენინისგამოსახულებიანი გარდამავალი ვიმპელების შეჩეჩება და ამ სიხარულით გამოწვეული „ვაშას“ ძახილი. არავითარი!**

კომბაინი მოსავალს იღებს და ფართობებზე გლეხები – ფართობების პატრონები ტრიალებენ. საქმე პომპეზური მოწოდებების ნაცვლად!

ეს დღეებია გორის რაიონში (ახლებურად – გორის მუნიციპალიტეტშიძ ალოობა მიმდინარეობს. არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა და სხვა თანამდევმა მიზეზებმა არც თავთავიან კულტურებს დააყარეს ხეირი, მაგრამ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა – 20-22 ცენტნერი – მაინც ადრინდელ მაჩვენებლებს სჭარბობს. წლეულს გორელები 7000 ჰექტარზე აიღებენ მოსავალს, აქედან საგაზაფხულო ქერს 1500 ჰექტარზე.

ალოობა დაიწყო და პირველი კომბაინები ტრადიციულად ნადარბაზევის ფართობებზე გამოჩნდნენ. გუშინ აქაურ მხვნელ-მთესველებს შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი ზურაბ არსოშვილი ეწვია. გუბერნატორი გაესაუბრა გლეხებს, დაინტერესდა მოსავლის აღების მიმდინარეობით, „ვიწრო ადგილებით“, რომელიც, როგორც წესი, თან სდევს მოსავლის აღების პროცესს.

გუბერნატორი მხვნელ-მთესველებს მოსავლის დროულად აღებასა და დაბინავებაში დახმარებას შეპირდა.

**გურამ ვაშაკიძე.**

# ცხოვრება მართლაც მშვენიერია!

## ერთი ტელეგადაცემის კვალდაკვალ

**მთელი კვირა გრძელდებოდა ტელეანონსი ამას წინათ თბილისში გამოცემულ წიგნზე — „ახალგაზრდა სტალინი“ (წიგნის ავტორია საიმონ სებაგ მონტეფიორე). სტალინის ბიოგრაფიიდან ისეთ ფაქტებს გვპირდებოდნენ, რომ „წითელი მეფის, მონარქისა და ურჩხულის“ თანამემამულეებსაც კი პირველად უნდა მოგვესმინა (ვახო სანაია გვამუნათებდა ასე).**

და, აჰა, შაბათი, საღამოს 21 საათი. გადაცემა დაიწყო და გუნება




წაუხდა... თვით გადაცემის წამყვანს — სტალინის პიროვნების, მისი ბიოგრაფიის ამ ზერელედ მცოდნესაც კი. „წიგნში უხეში შეცდომები გვხვდებაო“, ბრძანა ვახომ. სამაგიეროდ, კიდევ უფრო დაუჯერებელი ფაქტების, ზღაპარ-ანეკდოტებს რომ ენათესავება, სინამდვილედ წარმოჩენას ცდილობდა, ისეთების, კარგა ხნის წინათ სტალინის მტრების მიერ რომაა შეკერილი და დღეს მკითხველის ღიმილს იწვევს.

1907 წელს, თბილისში, ერევნის მოედანზე მოწყობილი საფოსტო კარეტის ძარცვა, წიგნის ავტორს რომ დღევანდელი რუსთაველის მოედანზე მომხდარი ამბავი ჰგონია, თურმე, სტალინის მიერ იყო ორგანიზებული.

ტელეწამყვანი კერძო დეტექტივივით გვარწმუნებდა, სტალინი მეფის „ოხრანკის“ აგენტი იყოო. და ა. შ. და ა. შ.

პატიოსან დონ-კიხოტს დავესესხები და მივმართავ წიგნის ავტორს:

— ნეტა რა ისეთი ფაქტები მოიძიე, რომ ქუჩებში გამოტანილ სტალინის შესახებ წიგნებში არ იყოს უფრო კეთილსინდისიერად აღწერილ-გამოკვლეული?!

თუკი ამ წიგნში, როგორც ვახო ამბობს, უხეში შეცდომებია, რისთვის დააჯილდოვეს ავტორი ევროპულ-ამერიკული პრემია-პრიზებით?! რომელ ლიტერატურულ ჯინაზე გადმოუგდეს?!

ცნობილია, რომ სტალინის მტრები დღესაც მისი ლანძღვით ირჩენენ თავს. ვერაფერი რომ ვერ დააკლეს, დედამისზე, კეკეზე იყარეს ჯავრი და ეს ღვთისმოშიში, მკაცრი, პურიტანი ქალი (სვეტლანა ალილუევას დახასიათებით) ლობინში ვილას არ შეუგორეს. ეს პრჟევალსკიო, ეს მიკლუხო-მაკლაიო, ეს რუსეთის იმპერატორი, ესეც სომხის ვაჭარიო... კმარა! თუ ვინ იყო სტალინის მამა, ზოგიერთ მკვლევარს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკუთარმა დედამ უფრო გაუძნელა. შეიარეთ გორში, სტალინის სახლში, ბესოს სურათი კედელზე ჰკიდია. მამა-შვილი გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. მერე რა, რომ ბესო ჯუღაშვილი მეჩექმე იყო, მერე რა, რომ ლოთობდა. ლოთები ჯუღაანთში კი არა, ხამუშ-ხამუშ (ჰიტლერის დაკვირვებით) მარლბოროს გვარშიც გამოერევიან ხოლმე.

ისტორიული პიროვნების (თანაც როგორისძ) ასე ხელაღებით თრევა ცუდად აღზრდილი, უღირსი ადამიანების ხელობაა. სტალინს ქვეყნის დამანგრეველი იდეურ-პოლიტიკური ძალა — ტროცკიზმი რომ არ ამოეძირკვა (კი, თქმა არ უნდა, ჩვენთვის მიულებელი, უკიდურესად სასტიკი მეთოდებით) ეჭვი არაა, ბევრს აპატიებდნენ. მაგრამ არა, მასთან დღესაც, დიდი ანგარიშსწორება მიდის. სოსო — ნაბუშარი, „ოხრანკის“ აგენტი, მექალთანე, კრიმინალური ბანდის მეთაური... სტალინის წინააღმდეგ შეთითხნილი ბრალდებების ავტორი იუდუშკა-ტროცკი მექსიკაშიც კი უქმად არ ჰკარგავდა დროს.

ჭეშმარიტად, თითოეული ჩვენგანი იმდენ ღირსებას ფლობს, რამდენის დანახვაც სხვა ადამიანში შეუძლია.

სატირალი რომ არ იყოს, ფრიად სასაცილოა: ტელეგადაცემაში სტალინისთვის წაყენებული ბრალდებები ეცოტავათ და ზედმეტი სახელების დარქმევის ნიჭიც ბრალდებად წაუყენეს. კი, სოსო ბავშვობიდანვე ამ საქმის ოსტატი იყო. ჯერ მარტო „კამო“ რად ღირს! ახლა მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდი: ბუხარინი — ბუხარჩიკი, მოლოტოვი — მოლოტაშვილი... საერთოდ, ქართლში, გორში, მომეტებულად ზედმეტი სახელებით იცნობენ ერთმანეთს. თაობიდან თაობაზე გადადის ათლავაშა, დაჰკადოლი, ბელტიყლაპია, შუაღამე, ჯორ-ზაქარა, კუბომასესხე, ჭალიმელა (ბავშვობაში სოსოს მიერ მეგობრისთვის შერქმეული სახელია და დღესაც ასე ეძახიან ჭალიმელას შთამომავლებსძ, დაითვალემამაო, დაიძინე (ამბობენ, ესეც სოსოსეულიაოძ, შუაღამე, ხატილეწე, ივანახველა... ჭალიმელა იყო (რომლის ნამდვილი სახელი და გვარი კარალეთის სასოფლო საბჭოში თუ იცოდნენძ სოსოს კრემლში ლიახვის ციმორს რომ უგზავნიდა. ერთხელაც, ომის შემდეგ, ბელადმა საქართველოდან გამოგზავნილ ცოცხალს რომ დახედა, ჭალიმელა როგორ არისო, იკითხა. „მოკვდაო“. „მივხვდი, იმნაირად არის მოხარშულიო“.

მოკლედ, ვახოს ტელეგადაცემამ კარგ ხასიათზე დაგვაყენა, მით უმეტეს, რომ ეკრანიდან დაგვაიმედეს, ამ წიგნის კინოვერსიასაც ნახავთო თუ გაგვიმართლა, ბალეტსაც დადგამენ.

**გურამ ვაშაკიძე**

**სარედაქციო ფოსტიდან**

# უნდა დავფიქრდეთ!

**ვიდრე ვიტყოდე ჩემს მთავარ სათქმელს, მინდა შეგახსენოთ, რომ პირტიტველა ბიჭები ვეფხვებივით იბრძოდნენ, მაგრამ ვაი ამ ბრძოლას... ეს იყო ძმათამკვლელი ომი.**

აფხაზები და ქართველები მოტყუვდნენ და მტრებად ვიქეცით, ვჟლიტეთ ერთმანეთი. ბევრი შეიძლება ამაზე დაიწეროს, მაგრამ... საზარელია ამაზე ფიქრიც კი. გვეყო, დროა გონს მოვეგოთ, ამიტომ ვსვამ კითხვას ყველა იმ მეომრის წინაშე, რომელიც იბრძოდა აფხაზეთში: **ხართ თუ არა თქვენ მზად ნებაყოფლობით უარი თქვათ და დაუბრუნოთ სახელმწიფოს ის ორდენები და მედლები, რომლებიც მიიღეთ ზემოხსენებულ ომში მამაცობისა და გმირობისთვის?**

თუ ამ შეკითხვას დადებითი პასუხი გაეცა (ვიცი, რომ ეს არანაკლები გმირობის ტოლფასიაძ, ნამდვილად შესაძლებელია ამას მოჰყვეს გარდატეხა ამჟამინდელ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში და გზა გაუხსნას ორი ერის შერიგების პროცესს.

დიდი ხანია ეს აზრი ღრღნიდა ჩემს გულს და დღეს გადავწყვიტე ბოლო მომელო ტანჯვისთვის და თქვენს სამსჯავროზე გამომეტანა. არც ქართველისთვის და არც აფხაზისთვის საამაყო არ უნდა იყოს ერთმანეთის სისხლით გაჟღენთილი ორდენის ტარება. ასეთ ვითარებაში რა შერიგებაზეა ლაპარაკი — ეს წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი.




სხვა გზა არ არსებობს — თუ შერიგება გვინდა, ასე უნდა მოვიქცეთ, თუ არადა, პიარის დონეზე ლაპარაკი ფუჭი საქმეა. ომით აფხაზეთის დაბრუნება გამორიცხულია. და თუ ამას ვინმე სხვანაირად ფიქრობს, ძალიან ცდება. ჩვენ ჯერ უნდა დავიბრუნოთ აფხაზები და ტერიტორია თავისთავად დაბრუნდება — ვინ უნდა დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან — მთავრობის თუ ხალხის წარმომადგენლები? რასაკვირველია, ხალხის მეომარი უნდა დაელაპარაკოს მეომარს. მაგრამ ეს რომ მოხდეს, ერთ-ერთ პირობად ზემოთქმული შეიძლება გამოდგეს — ამიტომ, რაც არ უნდა მძიმე იყოს ეს ჩვენთვის, უნდა გადავლახოთ ბარიერი და შევძლოთ ყველაფერზე მაღლა დავდგეთ.

სხვანაირად არ გამოდის — არ გამოდის იმიტომ, რომ მოლაპარაკებას უნდა ჩავუყაროთ მტკიცე საფუძველი, შევქმნათ პირობა აფხაზთა და ქართველთა ნდობისა.

მე ვიცი ბევრი მაგალითი, როცა ყოფილა შემოთავაზება აფხაზეთში მეომრებს გაეფორმებინათ პენსია (ზოგი არ აფორმებსძ, რაზეც ისინი დღესაც კატეგორიულ უარს აცხადებენ (განა იმიტომ რომ ფული არ ჭირდებათ?ძ.

რამდენი წელია გაზეთებში თუ ტელეარხებზე ვხმაურობთ, ბევრს ვყვირით, რომ უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება აფხაზებთან და ოსებთან — მერე რა, წავიწიეთ წინ? რასაკვირველია, არა! ასეთი პიარ-კამპანიებს არასდროს დადებითი შედეგი არ მოჰყოლია და არც მოჰყვება. საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. წავიდეთ რადიკალურ ნაბიჯებზე. ნუ მიწყენენ ხელისუფალნი, მაგრამ ამაზე ჯერ სერიოზულად არავინ ფიქრობს. პირიქით, ვცდილობთ ახალი საზეიმო დღეები შემოვიღოთ და კიდევ უფრო დავშორდეთ აფხაზებს — ცეცხლზე ნავთს ვასხამთ. ვაი, სოფელო... ამაზე შეიძლება ითქვას.

ფაშიზმზე გამარჯვების დღეებში დაიწყო იმის მტკიცება, რომ თურმე უნდა შემოვიღოთ კიდევ ერთი დღესასწაული აფხაზეთზე გამარჯვებისა (რომელ გამარჯვებაზეა ლაპარაკი, გაუგებარიაძ.

1993 წლის 16 მარტი — ეს თარიღი (სოხუმზე შემოტევის მოგერიების დღეძ დავაწესოთ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღედ. მიმაჩნია, რომ ცამდე მართალი ვარ, რადგანაც ამ დღეს დიდი გმირობა ჩაიდინეს ჩვენმა ბიჭებმა და არნახული შემოტევა გუმისთაზე უკუაგდეს. აქ მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი განიცადა, მაგრამ... გვინდა ეს ჩვენ დღეს? როდესაც ვიცი, რომ მხოლოდ შერიგებით თუ შევძლებთ აფხაზეთის დაბრუნებას. რასაკვირველია, მხოლოდ დათმობაზე წასვლით უნდა შევქმნათ ურყევი ნიადაგი შერიგებისკენ.

სხვა გზა არ არსებობს. თუ ვინმე სხვანაირად ფიქრობს, ძალიან ცდება — არ მიწყინოს ზოგიერთმა ჩინოსანმა და არც იმაში ვეთანხმები, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლების წლებში (1939, 1945ძ „ქართველებს კვლავ მოუწია საბჭოთა იმპერიის ინტერესების დასაცავად ბრძოლა“. ნურას უკაცრავად!, ჩვენ, ქართველები, ვიბრძოდით არა მოსკოვისთვის, არამედ საქართველოსთვის.

მე როცა ომში ნებაყოფლობით მივდიოდი — მთელი ჩემი არსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ მივდიოდი ჩემი შეშელეთის, გალის, აფხაზეთის, საქართველოს ამ ძირძველი მიწის დასაცავად. და ეს გრძნობა არასდროს არ გამნელებია — ასეა ყველა ვეტერანი, უნდა ეს ვინმეს თუ არა.

დარწმუნებული ვარ, ვინც სხვანაირად ფიქრობს, ისინი ის ვაჟბატონები ბრძანდებიან, რომლებიც აფხაზეთზე არ ფიქრობენ და დუბაისკენ ჰქონდათ აღებული გეზი სავაჭროდ, ხოლო ვინც გულანთებული პატრიოტები იყვნენ, სოხუმისკენ გარბოდნენ და ტყვიას უშვერდნენ მკერდს.

ვაგლახ, თქვენს ვაჟკაცობას!

აფხაზ ხალხთან ჩვენი მეგობრობა და ნათესაობა საუკუნეების მიღმიდან იწყება — ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ-აფხაზურ სულიერ-კულტურულ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობაზე არაერთ აფხაზ მოღვაწეს მოუხდენია ზეგავლენა, მაგრამ მათ შორისაც გამოირჩევა შარვაშიძეთა საგვარეულოს თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე გენერალ-ადიუტანტი გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე (ჩაჩბაძ.

გიორგი შარვაშიძე წლების განმავლობაში ჯერ თბილისის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორი (1883-1889 წლებშიძ იყო, ხოლო შემდეგ გუბერნატორი (1889-1897ძ. იგი „მეტად დიდ როლს ასრულებდა XIX საუკუნის დასასრულს საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. მართალია, მეცნიერული შრომები და მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები არ დაუტოვებია, მაგრამ სახელმწიფოებრივი და საქველმოქმედო მოღვაწეობით იმდენი სასარგებლო და ეროვნული საქმე გააკეთა, რომ იმთავითვე ქართული მოწინავე ინტელიგენციის დიდი სიმპათია და ხალხის მოჭირნახულე-მოამაგის სახელი მოიპოვა“ — წერს პროფესორი ოთარ ჭურღულია თავის წიგნში „შარვაშიძეები“. ასეთი შარვაშიძეები, მარშანიები, ჯოპუები, ჯონუები, გოგუები, და სხვა აფხაზები ამჟამადაც მრავლად არიან საქართველოში და მის გარეთ. იმათ გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ ზემოთ წამოჭრილი იდეის განხორციელებისათვის.

ჩემო მეგობრებო, გმირო ხალხო — აფხაზეთში ნაომარო ქართველებო! ეგებ, მართლა ღირდეს დავფიქრდეთ, დავდგეთ ყველაფერზე მაღლა და მივიღოთ გადაწყვეტილება, რასაც დარწმუნებული ვარ, აფხაზეთის მხრიდანაც ექნება გამოძახილი. ჯერი თქვენზეა!

**მამანტი ჯოლია,**
**საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი, ღირსების ორდენოსანი**

## ჭაბუკი ოლიმპიელები

***ნამდვილად** თავმოსაწონია ის მონაპოვარი, რომლითაც ასტანაში (ყაზახეთი) გამართული ნორჩ მათემატიკოსთა საერთაშორისო ოლიმპიადიდან დაბრუნდა საქართველოს გუნდი: ორი ვერცხლის მედალი, ორი ბრინჯაოს და ორიც სიგელი.*

*ასპარეზობაში მონაწილე გუნდები 6-6 მოსწავლისაგან შედგებოდა; როგორც ვხედავთ, არც ერთი ქართველი ჭაბუკი დაუჯილდოებელი არ დარჩენილა; **ვერცხლის მედლების** მფლობელები გახდნენ **ლაშა ლაკერბაია** და **ლაშა ფერაძე** (ორივე თბილისის კომაროვის სკოლა-პანსიონის XII-კლასელი გახლავთ); „**ბრინჯაო“** დაიმსახურეს **ცოტნე ტაბიძემ** (ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის XI-კლასელი) და **გიგა გუმბერიძემ** (კომაროვის სკოლა-პანსიონის XI-კლასელი); **სიგელები** ხვდათ **გიორგი გიგლებიანსა** (თბილისის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, XI კლასი) და **ნოდარ ამბროლაძეს** (ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, XI კლასი).*

*ბარემ აქვე კეთილი სიტყვით მოვიხსენიოთ ის მათემატიკის მასწავლებლები, ვის „ხელშიც ჩვენი ყოჩაღი ბიჭები ნაკრებში მოხვდნენ და ასტანას გაემგზავრნენ ქვეყნის მათემატიკური პრესტიჟის დასაცავად: **ვანო კვიტაშვილი** — ორივე კომაროველი ლაშას აღმზრდელი; **გენადი მარგველაშვილი** — ქუთაისელი ცოტნე ტაბიძისა და ნოდარ ამბროლაძის პედაგოგი; **მალხაზ ჯინჭარაძე** — გიგა გუმბერიძის მასწავლებელი; **ედემ ლაგვილავა** — გიორგი გიგლებიანის აღმზრდელი; რასაკვირველია, ყმაწვილებს ადრე სხვა პედაგოგებიც ეყოლებოდათ და ყველა იმსახურებს მადლობას.*

*ახლა კი ჩვენი ნაკრების „მთავარ ბანაკსაც“ მივაკითხოთ და იმ სამეულს გავეცნოთ, რომელიც მთელს ამ საოლიმპიადო სავალზე ქართველ ჭაბუკებს წარმატებისკენ მიუძღოდა: მთავარი მწვრთნელი, პროფესორი **ლერი გოგოლაძე**; მთავარი მწვრთნელის მოადგილე, ასისტენტ-პროფესორი **გიორგი ჭელიძე**; დამხმარე მწვრთნელი, ასისტენტ-პროფესორი **გივი ნადიბაიძე.***

*აქვე სათქმელად, ეგებ უინტერესო არ იყოს ასტანის ასპარეზობასთან დაკავშირებული ოფიციალური ტერმინოლოგიის მოყვანა: თვით შეჯიბრება იწოდებოდა როგორც „საერთაშორისო მათემატიკური ოლიმპიადა“, გუნდის ხელმძღვანელები კი შესაბამისად, ლიდერი, ლიდერის მოადგილე და დამკვირვებელი. ეს — სხვათა შორის...*

*გავეცნოთ-მეთქი, მაგრამ „ვასწორებ“ ნათქვამს: „სრ“-ის ფურცლებზე წლების მანძილზე არაერთგზის „ციტირებულ“ ლერი გოგოლაძეს არ სჭირდება სპეციალური წარდგენა. საქმე ის არის, რომ ბატონი ლერი არა მხოლოდ წარსულში გამოჩენილი მეკარე-წყალბურთელი გახლავთ, არამედ შემდგომ მათემატიკური ანალიზის თვალსაჩინო მკვლევარიც; საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადებზე ის თერთმეტჯერ თავკაცობდა (ლიდერობდა!) საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებს, აქედან ათჯერ — ზედიზედ(!). ეს ყველაფერი სისტემატურად შუქდებოდა ჩვენს გაზეთში; აი, მისი ორი ახალგაზრდა თანაშემწის წარმოჩენა — ეგ სხვაა.*

*ლერის, ჩემს ძველ უმცროს ამხანაგსა და მრავალჯერ ალაპარაკებულ რესპონდენტს მივულოცე ასტანაში სანაქებო ვოიაჟი, გულით მოვუწონე 70 წლის ასაკში (მომიტევოს წლების გამხელა) გონებრივი და ფიზიკური კონდიციების ამგვარი შენარჩუნება (რაც უთუოდ რჩეულთა ხვედრია) და ვუთხარი: ჩემგან არც კალამი გაკლია და არც გასაუბრებები, მოდი ახლა გიორგის ან გივის შევხვდები „საინტერვიუდ“-მეთქი. დიდი სიამოვნებით გრთავ ნებასო, მიპასუხა.*

*ასე აღმოჩნდა გივი ნადიბაიძე ჩემი „საგაზეთო“ სტუმარი — როგორც მალე გავარკვიე, ფრიად სიმპათიური, დაკვირვებით მოუბარი და გულისხმიერი მსმენელი, ალალად სხვათა მაქებარი და წინა პლანზე წამომწევი ახალგაზრდა კაცი.*

# სულაც არასათაკილო 34-ე

**— როგორ შეირჩა ჩვენი ნაკრები?**

— ეს მოხდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით (ფონდის ხელმძღვანელი მარიამ გერსამია). პროცესს უშუალოდ უძღვებოდა ბატონი ლერი, რომელმაც ერთობ შრომატევადი სამუშაო შეასრულა. მოეწყო 4 წერითი გამოცდა მკაცრი რეგლამენტირებით, თითოეულ ამოცანაზე ქულების საგულდაგულო გაწერით.

მანამდე შედგა რესპუბლიკური სასკოლო მათემატიკური ოლიმპიადა, რომლის დასკვნითი ტურის შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა ნაკრების 15 კანდიდატი. სწორედ მათ მოუწყო ბატონმა ლერიმ 4-ტურიანი წერითი გამოცდა და ამრიგად გამოიკვეთა 6-მოსწავლიანი ნაკრები.

შემდეგ ერთთვიანი საწვრთნელი შეკრება ჩატარდა კომაროვის ტერიტორიაზე, ყოველდღიური 6-საათიანი მეცადინეობებით, საერთაშორისო ოლიმპიადის პირობების გათვალისწინებით.

შუალედურად, ივნისში, ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ერთკვირიანი დასვენება უზრუნველყო წყნეთში.

**— ლერი გოგოლაძეზე მიფიქრია, საქართველოს ახალგაზრდული „სამათემატიკოს“ ნამდვილი დიდი მოურავია-მეთქი... თუმცა ამხელა სამზადისს მარტო ხომ ვერ გასწევდა...**

— მთელს ამ მოსამზადებელ ეტაპზე გიორგი ჭელიძე და მე ვეხმარებოდით შეძლებისდაგვარად. გიორგი შარშანაც იყო ასეთ საქმეში ჩაბმული; რომ იცოდეთ, რა ენერგიული, თავდადებული, მოსწავლეებთან საერთო ენის ადვილად გამომნახველია. ბავშვებს ძალიან უყვართ... ჩემთვის კი ამგვარი საქმიანობა პირველი იყო.

მოსწავლეთა მომზადებაში ასევე დაგვეხმარნენ ასოცირებული პროფესორი ქეთევან შავგულიძე და ყოფილი „ოლიმპიელები“, ამჟამად სტუდენტები გიორგი არაბიძე, ირაკლი ჩიტაია და სანდრო ლომაძე.

**— ასტანის ამბებს მივუბრუნდეთ. ოლიმპიადას ჟიური ეყოლებოდა თავისი.**

— საერთოდ, ჟიურის წევრები არიან ქვეყნების წარმომადგენლები. იმათ რიცხვში ოფიციალურად შედიოდა ლერი გოგოლაძეც.

უნდა გითხრათ, რომ ბატონი ლერი იმ წევრებიდან გამოირჩეოდა მკვეთრი კოლორიტულობით და პოპულარული პიროვნება ბრძანდებოდა. რამდენი წელია ვიცნობ, მაგრამ უცხო ქვეყანაში ის, მისი ქართველობა



კიდევ უფრო ღირსეულად წარმოჩნდა. საგანგებოდ გაუმასპინძლდნენ იქაური ადათ-წესებით.

იპოდრომზე სანახაობა მოგვიწყეს ცხენოსნობით, ჯიგიტური ელემენტებით: ისრის სროლა, მხედრების ჭიდაობა, გაქროლებული ქალისაგან მანდილის გადმოგდება და გაჭენებულ ცხენზე მჯდომი ვაჟისაგან ატაცება და სხვა.

**— მხედრების ჭიდაობა რაღაა?**

— ვინ ვის გადმოაგდებს ცხენიდან... შოუს შემდეგ გაგვიმასპინძლდნენ ოლიმპიადის მონაწილეებს, ბატონ ლერის — გამორჩეულად; აღმოსავლურ-აზიურ კარავში დასვეს, სინით მოართვეს შებრაწული ცხვრის თავი და ცხვრისხორციანი ფლავი.

იმ კომპანიაში გიორგი და მეც მოვხვდით. გვერდით ქალბატონი დაჯდა, ეროვნულ საკრავზე გვიმღერა ყაზახური მელოდიები და ასე ვისადილეთ, თუმცა ცხვრის თავს ვერაფერი ვერ მოვუხერხეთ...

**— ოლიმპიადაზე ძნელი ამოცანები დაიდო?**

— წინა წლებთან შედარებით საკმაოდ რთული. რამდენიმე ათეული ამოცანიდან შეირჩა 6. ბატონი ლერი და მე შევდიოდით შემრჩევთა რიცხვში.

ბავშვები ორი დღე ელოდნენ გასწორება-შეფასების შედეგებს. ჟიურის წევრები კოორდინატორებთან ერთად ახდენდნენ ნაწერების შეფასებასა და შედეგების შეჯერებას.

**— გივი, როგორც მახსოვს, ასეთ ოლიმპიადებზე ქვეყნების მიერ დაკავებული ადგილები ოფიციალურად არ ცხადდება, თუმცა ჯამური ქულებით რაღაც რეიტინგული სია მაინც კეთდება. წელს როგორ იყო?**

— არაოფიციალური ნუსხა წელსაც გამოქვეყნდა: ჩინეთმა 6 ოქროს მედლითა და ჯამური ქულებით, I ადგილი დაიკავა. საერთოდ, მედლები ქულობრივი საზღვრების ზემოთ გაიცემოდა და სხვა ქვეყნებმაც აიღეს. რუსეთი II ადგილზე გავიდა, აშშ — III-ზე.

**— სულ რამდენი ქვეყანა იყო?**

— 94.

**— ჩვენმა ორმა ვერცხლმა, ორმა ბრინჯაომ და ორმა სიგელმა რომელი ადგილი მოგვიტანა?**

— 34-ე.

**— 98 მონაწილეს შორის, მე თუ მკითხავთ, ჩვენისთანა პატარა და უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის სულაც არ არის ურიგო...**

— გეთანხმებით, მით უფრო, რომ უკან მოვიტოვეთ დიდმოსახლეობიანი ბრაზილია და კიდევ მეტმოსახლეობიანი ინდოეთი და ისეთი განვითარებული სახელმწიფოები, როგორიცაა ესპანეთი და დანია, სხვებიც.

...გივი ჩემთან მოვიდა იმ საზეიმო ცერემონიალიდან, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გაუმართა ოლიმპიადის მონაწილეებს. თვით ეს ფაქტიც ხომ ჩვენი გუნდის ჩინებული გამოსვლის აღიარებაა ხელისუფლების მხრიდან.

ვერცხლის მედალოსნებს 3-3 ათასიანი ლარი ფულადი პრემია გადაეცათ, ბრინჯაოსნებს — 2-2 ათასი, სიგელოსნებს — ძვირფასი წიგნების კოლექციები.

— ალალი იყოს თქვენზე, ნორჩო მოაზროვნენო, გონების წყალობით „გამომუშავებული“ ფული...

„ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად — ზრდილობა“, სამ-სამ და ორ-ორ ათასად — ეგ თქვენი ჭკუამახვილობა...

**თამაზ ებანოიძე**

## ინფორმაცია



### კომახიძეს პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭეს

**შვეიცარიამ** ქართველ ჟურნალისტს ვახტანგ კომახიძეს, რომელიც ამ ქვეყნის ლტოლვილთა ბანაკში რამდენიმე თვეა უკვე რაც იმყოფება, პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა.

კომახიძეს სტატუსის მიღების შემდეგ საშუალება მიეცემა შვეიცარიაში ოჯახი წაიყვანოს.

ვახტანგ კომახიძე შვეიცარიაში მიმდინარე წლის იანვარში ჩავიდა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. იგი საქართველოს ხელისუფლებას დევნაში ადანაშაულებს. შვეიცრიაში გამგზავრებამდე მან გარკვეული დრო ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაჰყო.

ვახტანგ კომახიძე სტუდია „რეპორტიორს“ ხელმძღვანელობდა, რომელმაც საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ რამდენიმე დოკუმენტური ფილმი მოამზადა.

### 223 ოჯახი ახალ ბინებს მიიღებს

**ავარიულ** სახლებში მცხოვრები 223 ოჯახი ახალ ბინებს მიიღებს. პროექტის - „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში ახალ ბინებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიებიააშენებენ. ამ ეტაპზე, სპეციალურად შექმნილი კომისია მზად არის 9 კომპანიის მიერ წარდგენილი პროექტი დააფინანსოს.

დედაქალაქის ძველ უბნებში მცხოვრები მოსახლეობის ახალ ბინებში, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლომდე შეასახლებენ.

დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ სამშენებლო კომპანიებს მიმართა და მოუწოდა, რომ პროექტს — „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ უფრო მეტი ნდობა გამოუცხადონ.

„ეს პროგრამა არ არის გამდიდრების პროგრამა. ეს პროგრამა არის დახმარების პროგრამა. აქ მთავარია, რომ კრიზისის დროს ყველა კომპანიამ, ვინც ნორმალურ წინადადებას წარმოადგენს, შეძლოს გამოძვრეს, ვალდებულებებ შეასრულოს, კომპანიაც გადარჩეს და იმ ადამიანებმა, რომლებიც კომპანიაში არიან დასაქმებულებები, სამსახური არ დაკარგონ“, — განაცხადა გიგი უგულავამ.

### ხელფასის ნახევარს ითხოვდა

**კომერციული** მოსყიდვის ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის რეორგანიზაციის და ოპტიმიზაციის სამსახურის უფროსი ბაჩანა ჩიგოგიძე.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ იგი თავისი ერთ-ერთი თანამშრომლისაგან ინტენსიურად ითხოვდა ანაზღაურების თანხის ნახევარის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებოდა.

სამართალდამცველებმა ბ. ჩიგოგიძე მაშინ დააკავეს, როცა მან კლინიკის ელექტრიკოსს არა კლინიკის, არამედ სხვა, კერძო შეკვეთით შესრულებული სამუშაოს შესრულებისათვის მიღებული ანაზღაურებიდან 50 ლარი გამოსძალა.

ჯი-ეიჩ-ენი

მოგონებანი გარდასულ დღეთა

*ამ ორიოდე თვის წინათ, ერთ-ერთი, ძველი სატელევიზიო პროგრამის აღდგენის შესახებ, საქართველოს ტელევიზიას შევეხმიანე. საქართველოს იმ ტელევიზიას, დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ ეძახიან!*

*22 წელიწადი ვიმუშავე იქ და დღესაც მიმაჩნია იგი ჩემს ტელევიზიად. ამიტომ გადავწყვიტე, იქნებ რამეში გამოდგომოდათ ჩემი „ახალი-ძველი“ წინადადება! ცოტა მოგვიანებით პასუხი მივიღე, — „გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ სინოფსისი!“. მართალი გითხრათ, ჩემს ოჯახს პირდაპირი კავშირი აქვს სამღვდელოებასთან (პაპაჩემი, ბაბუას მამა, მოძღვარი გახლდათ!) და ვიცოდი, რომ სინოფსისი საღვთო წერილების კრებულს ნიშნავდა და, ცოტა გამიკვირდა! კეთილი ვინებე და ისევ ჩავიხედე ლექსიკონში! გაირკვა, რომ არ შევმცდარვარ, სინოფსისი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: — მიმოხილვას, კრებულს, რაიმე (უპირველესად ისტორიული ხასიათის) საკითხის შესახებ არსებული ცნობებისა, მასალებისა, წერილებისა, რომლებიც უფრო ხშირად დალაგებულია ქრონოლოგიურად!...*

*კეთილი და პატიოსანი, იყოს, ბატონო, სინოფსისი თუ მიმოხილვა!*

# „აუქციონი“ – ახალი სიტყვა საქართველოს ტელევიზიაში

## სინოფსისი

მე კი, ცოტა ფართოდ და ქრონოლოგიურად მოგიყვებით იმ სატელევიზიო პროგრამაზე, რომელსაც „აუქციონი“ ერქვა და, რომელზეც არაერთხელ მოუმზადებიათ გადაცემები „სი-ენ-ენს“, „თი-ბი-სი“-ს და სსრკ-ის ცენტრალურ თუ რესპუბლიკების ტელევიზიებს.

ყველაფერი კი, ბაზარში დაიწყო, ჩვეულებრივ საკოლმეურნეო ბაზარში!

იმ პერიოდში „ჩემს ტელევიზიაში“, ზემდგომის ბრძანებით, შეიქმნა ე.წ. „სოციალისტური შეჯიბრების რედაქცია“ და მისი განყოფილების გამგედ დამნიშნეს. ცოტა რომ გაგვეხალისებინა, „სოცშეჯიბრების“ თემას შევაპარეთ ისეთი რუბრიკები, როგორიც იყო „მარკეტინგი“, „ჩვიდმეტი ძირითადი“, „პროდუქცია და ხარისხი“ და სხვა. მარკეტინგის საკითხებს იმ დროს ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ერთგვარ სიახლედ ჩაგვეთვალა. არც „ჩვიდმეტი ძირითადი“ იყო ძველი და აქამდე არავის მოსვლია, თავში, რომ ეს სახელი დაერქმია სატელევიზიო პროგრამისათვის,—რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ჩვიდმეტი ძირითადი მაჩვენებელი! პროდუქციასა და ხარისხზე კი, მხოლოდ ცალკეულ სიუჟეტებში იყო საუბარი.

ჰოდა, ერთხელ ამ ჩვენი რუბრიკების სიუჟეტების თემამ მოითხოვა ბაზარშიც შეგვეხედა!

...შევიხედეთ და...

...ერთი ქალბატონი დახლთან იდგა და გაძვალტყავებულ დაკლულ ქათმებს ჰყიდდა. როცა ამ გაძვალტყავებულ „პროდუქციას“ „შევევაჭრეთ“, ქალბატონმა ნამეტანი ძვირი დაგვიფასა,— „სიმინდზე გაზრდილიაო, ბატონო!“

გაბრაზებულმა გამვლელმა „შეარცხვინა“ ვაჭარი.

— არ გრცხვენია, ქალო, ლამის არის აუქციონზე გაიტანო ეს შენი ჭირიანი ქათამი!...

და, დაიბადა გადაცემის სათაური,—წუნდებული პროდუქციის „აუქციონი“! ასე აღმოვაჩინეთ სათაური და იდეა, მაგრამ რა ფორმა, რანაირი „ჩოხა“ ჩაგვეცვა მისთვის?

მალე ამ „ჩოხასაც“ დაადგა საშველი!

ორშაბათის თათბირზე, ცნობილმა ჟურნალისტმა და შესანიშნავმა პიროვნებამ, ბატონმა დემურ იოსელიანმა თავის გამოსვლაში „ჩემს ტელევიზიას“ უსაყვედურა:

— სამწუხაროა, რომ საქართველოს ტელევიზიაში ნაკლები ყურადღება ექცევა შოუ პროგრამებს!

მართალია, შოუ პროგრამები, თითქოსდა, არ აკლდა საქართველოს ტელევიზიას, მაგრამ ეს საკმარისად არ ეჩვენა ამ სიტყვების ავტორს. „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, „სატურნი“ და ზოგიერთი სხვა გადაცემა მართლაც შეიცავდა შოუს ელემენტებს, მაგრამ ეს მაინც არ იყო საკმარისი!

სწორედ იმ საღამოს შეიქმნა ნამდვილი სატელევიზიო შოუს პროექტი, — სატელევიზიო პროგრამა „აუქციონი“!

აუქციონი, მოგეხსენებათ, ლათინური სიტყვაა და რაიმე ნივთის, ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვას ნიშნავს, როდესაც ნივთი რჩება იმას, ვინც მეტ საფასურს გადაიხდის! ჩვენს „აუქციონში“ კი, ყველაფერი პირიქით იქნებოდა! სპეციალურად დაბეჭდილ პოლიეთილენის პარკებზეც გადაცემის დასახელება სარკის ეფექტით იყო დახატული. სწორედ, ამ პარკებით გავატანდით წუნის მკეთებლებს თავიანთ უხეირო პროდუქციას „შინ“. სახელდახელო საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილ „წუნს“ მომხმარებლები და მოწვეული სტუმრები შეაფასებდნენ. ამ „ვაჭრობაში“ მონაწილეობას მიიღებდნენ, აგრეთვე, თვით საწარმოთა ხელმძღვანელები, მინისტრები, სპეციალისტები და მეცნიერები.

რა თქმა უნდა, მომხმარებელი „პროდუქციას“ ნულოვან შეფასებას მისცემდა და საწარმოებს „გააწითლებდა“, მერე კი, ეს „გაწითლება“ მათ ცოტა ძვირი დაუჯდებოდათ!!...

პროგრამა მეტად მწვავე და ქმედითი იქნებოდა, მაგრამ სამი წელიწადი იდო ეს პროექტი ჩემს საწერ მაგიდაზე! ვერც ერთმა ხელმძღვანელმა ვერ გაბედა (დიახ, ვერ გაბედა!) ასეთი „სკანდალური“ პროგრამის ეთერში გაშვება!

მაგრამ ხელმძღვანელობა შეიცვალა: საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ბატონი ნუგზარ ფოფხაძე!

მეორე დღიდან დაიწყო ცალკეული მთავარი რედაქციების შეხვედრები თავმჯდომარესთან

მე ნახევარ გვერდზე ჩამოვაყალიბე და წარვადგინე ჩემი „აუქციონი“!

ბატონმა ნუგზარმა ჯერ თვითონ გადახედა ჩემს ჰაიჰარად ნაწერს და... პირდაპირ დაიწყო:



— ვინ იცნობს ზაურ ფიფიას პროექტს?

მახსოვს, „ბევრმა“ თავი შეიკავა, მაგრამ წამოდგა სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ვალერიან ჩეკურიშვილი და თქვა:

— ეს არის პროექტი, რომლის მსგავსი არ ყოფილა არც საქართველოს ტელევიზიაში და არც სხვაგან გამიგონია!... მართალია, საკავშირო ტელევიზიას აქვს ამ თემაზე გადაცემათა ციკლი, მაგრამ „აუქციონი“ ჟანრობრივად და ფორმითაც აბსოლუტურად განსხვავებული იქნება!...

არასოდეს დამავიწყდება ეს სიტყვები!

თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. თავმჯდომარის ბოლო სიტყვა ასეთი გახლდათ:

— ხვალიდან „აუქციონი“ იწყებს მუშაობას!

და დავიწყეთ! შემოქმედებითი ჯგუფი ასე დაკომპლექტდა: — პროექტის ავტორი და რედაქტორი ზაურ ფიფია, რეჟისორები ელდერ ორჯონიკიძე და ენრიკო დონდუა, რეჟისორის ასისტენტი და თანაშემწე ციური ანთიძე. გადაცემის წამყვანად მოვიწვიეთ უაღრესად კოლორიტული პიროვნება და შესანიშნავი მსახიობი სოსო ხაინდრავა! მაგრამ ეს მცირე ჯგუფი, რა თქმა უნდა, ვერ მოერეოდა ესოდენ შრომატევად და საპასუხისმგებლო სამუშაოს და „აუქციონის“ ჯგუფში ჩავრთეთ მეცნიერეკონომისტები, პროფესორები გიორგი პაპავა, პავლე ჩაგელიშვილი, ვახტანგ თორაძე და სხვები და, რაც მთავარია, ხარისხის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი რეგიონალური ლაბორატორიები, რომელთა კოორდინირება დაევალათ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ მურზაყან გეგეშიძეს და მთავარ სპეციალისტს ქალბატონ ლიანა ღუდუშაურს.

1985 წლის ბოლოს „აუქციონის“ ორი გადაცემა გავიდა ეთერში!

მუსიკალური და საცირკო ნომრებით გაფორმებულმა შოუმ სასწაული მოახდინა! „აუქციონში“ სისტემატურად მონაწილეობდნენ ცნობილი მუსიკოსები და მსახიობები, მათ შორის, ომარ კელაპტრიშვილის გუნდი, საესტრადო და ფოლკლორული ანსამბლები, ცნობილი გიტარისტი თემურ ყვითელაშვილი, მომღერალი კოტე მაკარიძე, მსახიობები, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები და, თქვენ წარმოიდგინეთ, უპოპულარესი კიოს საცირკო დასი!

არ შევცდები თუ ვიტყვი, — აუქციონი იყო სენსაცია ქართულ ტელეეკრანზე და ეს სენსაცია არ იყო სადღაც, ოკეანის გაღმა თუ გამოღმა ნაყიდი თუ მოპარული პროგრამა! მისი ავტორები გახლდით ქართველები და არავინ სხვა!

თუ პირველ ორ გადაცემამდე, მაღაზიებში ჩვენ თვითონ დავეძებდით წუნდებულ პროდუქციას, ამიერიდან „ექსპონატებით“ ულევად დაიტვირთა ჩვენი „კიდობანი“. წუნდებულ პროდუქციას გვიგზავნიდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან. ხოლო, მას შემდეგ, რაც საკავშირო ტელევიზიამ „აუქციონი“ თავის ყოველთვიურ პროგრამაში ჩასვა, ექსპონატების „მდინარე“ წამოვიდა მაგადანიდან, ვლადივოსტოკიდან, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქიდან და სოფლიდან. ექსპონატების მრავალფეროვნებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, — მომხმარებლები გვიგზავნიდნენ წუნდებულ ტანსაცმელს, საკვებს, ავეჯს, ტექნიკას. შუა აზიიდან კატამარანიც კი გამოგვიგზავნეს მატარებლით. პროფესორმა გიორგი პაპავამ „აუქციონს“ მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამძრავი უწოდა თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში. „აუქციონის“ თემა აქტუალური გახდა ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებისათვის. ასევე, მასზე წერდნენ „პრავდა“, „იზვესტია“, კომსომოლსკაია პრავდა“ და სხვები.

მოსკოვში, ცენტრალურ ტელევიზიაში, სპეციალური ოფისიც კი გამოუყვეს „აუქციონს“!

„აუქციონი“ სოსო ხაინდრავასთან ერთად საკავშირო ეკრანისთვის მიჰყავდათ ისეთ ცნობილ ტელეჟურნალისტებს, როგორებიც იყვნენ თენგიზ სულხანიშვილი და პაველ ამბარცუმიანი.

მთელი ხუთი წელიწადი ქვეყანა „აუქციონით“ ცხოვრობსო, ამბობდნენ ხუმრობით ენაკვიმატები, მაგრამ განა მარტო სსრკ?... „აუქციონი“ საბჭოთა კავშირის საზღვრებს გასცდა. ორჯერ გვეწვია „სი-ენ-ენი“, ორჯერ თუ სამჯერ — „თი-ბი-სი“, ასევე უკრაინელი, ბელორუსი, აზერბაიჯანელი, ყირგიზი კოლეგები და 20-30-40-წუთიანი სიუჟეტები მიუძღვნეს ჩვენს პროგრამას. „თი-ბი-სი“-ის პროდუსერმა ჯონ სევერჟიმ ინტერვიუ აიღო ჩვენგან და, თითქმის, ერთსაათიანი გადაცემა უჩვენა თავის მაყურებელს. აქ, ჩვენთან, საქართველოს ტელევიზიაში, სისტემატური ხასიათი მიიღო „აუქციონისადმი“ მიძღვნილმა ფოტოგამოფენებმა. ფაბრიკებში და ქარხნებში იმართებოდა მათივე წუნდებული პროდუქციის გამოფენები და თვის ბოლოს „აუქციონს“ აბარებდნენ ანგარიშს ჩატარებული სამუშაოების შესახებ. თუმცა, „აუქციონის“ მიმართულება ამა თუ, იმ წუნის მკეთებლის მხოლოდ კრიტიკა არ ყოფილა. წუნით მიყენებულ ზარალს უნაზღაურებდნენ, შეუკეთებდნენ, უცვლიდნენ მომხმარებელს. თვით საწარმოებს კი, „აუქციონი“ ეხმარებოდა საწარმოო პრობლემების მოგვარებაში! უგერგილოებს კი!...

...მახსოვს, ფეხსაცმელების ფაბრიკა „ნარიყალა“ მკვეთრად გაკრიტიკდა როგორც რესპუბლიკის, ასევე, საკავშირო ეკრანზე. სამაგიეროდ, მოვაწყვეთ ისე, რომ ფაბრიკის კოლექტივი გამოცდილების გაზიარების მიზნით ტალინში მივავლინეთ და იქიდან დაბრუნების შემდეგ ამ საწარმოში მივამაგრეთ სპეციალისტ-მეცნიერთაა ჯგუფი და სწორედ, ეს საწარმო რესპუბლიკაში პირველი გადავიდა შრომის არენდულ ფორმაზე! „ისინი“ ფეხსაცმელების, თბილისის პირველი მაისის სახელობის და ბათუმის სამკერვალო ფაბრიკები, ბაქოს სამკერვალო ფაბრიკა, თბილისის მაკარონის ფაბრიკა და სხვა საწარმოები ახალი მანქანა-დანადგარებით შეივსო.

ჩემს არქივში დღესაც ვინახავ „აუქციონის“ ვიდეოჩანაწერებს, ფოტოდოკუმენტებს და წერილებს, რომელთაც გაოცებული და კმაყოფილი მომხმარებლები გვიგზავნიდნენ.

„აუქციონმა“ საფუძველი ჩაუყარა დიდ საქმეს,—ჩვენი, ეროვნული პროდუქცია თანდათან აუმჯობესებდა ხარისხს!

„აუქციონი“ გახლდათ საქართველოს ტელეისტორიაში მნიშვნელოვანი და საუკეთესო ეტაპი, რომელსაც თავისი საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს იმ მუზეუმში, რომლის შექმნასაც აპირებენ, თურმე, ჩემი კოლეგები! „აუქციონი „ იყო ის ერთად-ერთი სატელევიზიო პროგრამა, რომლითაც ტელევიზიის პრესტიჟი დაიცვა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ქალბატონმა ივლიტა მესხიშვილმა, როდესაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია ეწვია ტელევიზიას და კრიტიკის ქარცეცხლში გაგვატარა! სწორედ „აუქციონმა“ დაიმსახურა პრეზიდენტის სიმპათიები მაშინ და კრიტიკამაც „უკან დაიხია“!

დღეს არავის ახსოვს „აუქციონი“! „მომსახურების სფეროდ“ გადაქცეულ საქართველოში არა გვაქვს ეროვნული პროდუქცია, რომელსაც მოვთხოვთ ხარისხს, ან შევუქებთ ნახელავს! ამიტომაა, რომ თუ, „აუქციონი“ აღსდგა, მხოლოდ სხვისგან შემოჩეჩებული „ნაგავის“ „გა-აუქციონება“ მოგვიწევს!

თუმცა, არც ეს არის აქტუალობას მოკლებული!

**ზაურ ფიფია.**



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული მაფია შვეიცარიელ „კოლეგებს“ შორის

**ჟენევაში ოქტომბრისთვის დანიშნულია სასამართლო ქართულ მაფიაზე. შვეიცარიისთვის ის გახდება ყველაზე დიდი პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ამიერკავკასიის პატარა რესპუბლიკიდან ჩამოსულებთან. 2006 წლიდან ისინი დამკვიდრდნენ ამ წყნარ და ბანდიტიზმის, ქურდობისა და ძარცვისთვის უზრუნველყოფილ ქვეყანაში**

ქართული კრიმინალიტეტი გაქანებით მოქმედებდა. ადგილობრივი პოლიციელები შოკირებული იყვნენ დანაშაულებათა სტატისტიკით შვეიცარიაში. მათ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ 2008 წლიდან 2009 წლამდე პერიოდში ქურდობის ოდენობა აქ 57 პროცენტით გაიზარდა. თანაც სწრაფი ზრდა მოდიოდა ქურდობებზე, რომლებმაც შარშან ყველა სამართალდარღვევის 26,6 პროცენტი შეადგინა. მარტო ჟენევის კანტონში ერთი წლის განმავლობაში დააფიქსირეს 7932 ქურდობა, მათგან 80% გატეხით, რაც დღეში 22 შემთხვევას შეადგენს.

საქართველოდან ჩამოსულები უპირატესობას ანიჭებდნენ ბინების ქურდობას, მაგრამ არც მაღაზიების ძარცვაზე ამბობდნენ უარს, უპირატესობას ანიჭებდნენ საიუველირო მაღაზიებსა და ოფისებს. 10-დან მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიაგნეს მძარცველებს ცხელ კვალზე. შვეიცარიის პოლიციამ მოიწყინა – გახსნილ დანაშაულობათა რიცხვი დაბლა დაეშვა, ქართულ დანაშაულობათა ფენომენმა ისე ჩააფიქრა შვეიცარიის სამართალდაცვის ორგანოები, რომ მას მოუწია განეხორციელებინა განსაკუთრებული გამოძიება სახელწოდებით „განძი“ და შექმნა სპეციალური პოლიციური ბრიგადა.

იგი გულდასმით და დაბეჯითებით აგროვებდა ინფორმაციას, რომ ხელის ერთი მოსმით ჩაეგდო ხელში ქართული მაფია. და ეს შეძლეს: ჟენევის პოლიციამ დააკავა 185 ქართველი ქურდობის ბრალდებით. როგორც რუსულენოვანი შვეიცარიული გაზეთი „ნაროდნაია გაზეტა“ იტყობინებოდა, ამან საქართველოს წარმომადგენლები გაიყვანა არცთუ დიდად სახარბიელო პირველ ათეულში იმ დროს, როდესაც ქართველები კანტონში საერთოდ ცოტა ცხოვრობს.

ჟენევის სამართალდაცვის ორგანოები ძნელად თუ მიაღწევდნენ წარმატებას ქართველ პროფესიონალ დამნაშავეებთან ბრძოლაში, მათი ფრანგი კოლეგები რომ




არ გამოჩენილიყვნენ, რომლებიც ჩაერთვნენ ამ ამიერკავკასიური მაფიის ლიკვიდაციაში. მათ ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, რამაც არსებითად გააიოლა შვეიცარიაში კრიმინალური ორგანიზაციული სტრუქტურის გამოვლენა. ქართველებმა, თურმე, დაყვეს მისი ტერიტორია 4 სექტორად: რომანდია, ცენტრალური და აღმოსავლეთი შვეიცარია, ტიჩინო. ყოველ მათგანში დანიშნეს მაფიის „ზედამხედველი“, ჟენევაში კი დატოვეს მთავარი, რომელიც კრებდა და ინახავდა „საეროოს“ შემდგომი გადაგზავნისთვის ბელგიის „ცენტრალურ ოფისში“.

დანაშაულის კონვეიერი მოქმედებდა შეუფერხებლად და უშეცდომოდ, როგორც შვეიცარიული საათები. ქურდები ამტვრევდნენ და ასუფთავებდნენ ბინებსა და ვილებს, იპარავდნენ ყოველივე ძვირფასს, განსაკუთრებით ფულს, საიუველირო ნაწარმს, კომპიუტერებს, საათებსა და ძვირფასეულობებს. ზოგიერთ შემთხვევაში მონაგარი 300 ათას შვეიცარიულ ფრანკსაც კი შეადგენდა. თანხებს მალავდნენ, ნაძარცვ ძვირფასეულობას თვეში ოთხჯერ-ხუთჯერ ფოსტით ან მანქანით აგზავნიდნენ საზღვარგარეთ.

ქართული მაფიოზის გაქანებაზე მეტყველებს ბანდის წევრის დატყვევების ფაქტი ნივთიერი მტკიცებით. ის ასრულებდა თარჯიმნის ფუნქციას, ცდილობდა ჟენევიდან მანქანით გაეტანა 12 კილოგრამი ოქრო, 830-ზე მეტი შვეიცარიული მოკაზმულობა, 200 ათასი ფრანკის საერთო ღირებულებით. ისინი მოიპარეს ვოს ბერნის, იურისა და ჟენევის კანტონებში. შვეიცარიის პოლიციამ ბელგიელ კოლეგებთან ერთად 2006-დან 2008 წლამდე პერიოდში გახსნეს მოპარული ნივთების გადაზიდვის მთელი ქსელი, რომელიც მიდიოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანასთან, ნაწილი კი ამ სამკაულებისა იგზავნებოდა საქართველოში.

ბანდიტებს დაპატიმრების დროს აღმოუჩინეს დიდი ფულადი თანხები, გაუსაღებელი ნაძარცვი ღირებულებანი, ნარკოტიკები – ჰეროინი, მარიჰუანა და კოკაინი, იარაღი, რომელსაც იყენებდნენ 2 თავდასხმის დროს (საბედნიეროდ, ამ დროს არავინ დაშავებულა).

მათ გაასამართლებენ ცალ-ცალკე: შვეიცარიაში არ არის სასამართლო შენობა, რომლის სკამებზეც დაეტეოდა 185 ბანდიტი. ოქტომბერში სასამართლოს წინაშე წარსდგება 10 მათგანი. ბრალდებულთა შორის, რომელთა ასაკიც 21-დან 62 წლამდეა, არიან ბანდის მეთაური 32 წლის არჩილ კ. და მისი უახლოესი თანაშემწე მანუჩარ კ. მათ და კიდევ რამდენიმე ათეულს ბრალად წაეყენება ქურდობა, ძარცვა და ფულის გათეთრება. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულები უარს ამბობენ, რომ ეკუთვნოდნენ მაფიას, მათ ემუქრებათ ასეთი შემთხვევებისათვის კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ზომა – 8 წლით ციხე.

როგორღა შევაფასოთ მტკიცება, რომ „მაფია უკვდავია“? ვაი რომ, შვეიცარიაში ქართული მაფიის განადგურება როდი ნიშნავს მის საბოლოო აღმოფხვრას. ამას ხელს უწყობს ადგილობრივი კანონმდებლობის თავისებურებანი. პარადოქსია, მაგრამ მაფიოზის დიდი ნაწილი ელოდება პასუხს თხოვნაზე შვეიცარიაში ლტოლვილის სტატუსის შესახებ. და როგორც კი ისინი აღმოჩნდებიან შვეიცარიის ტერიტორიაზე, უმალვე ოფიციალურად ითხოვენ ლტოლვილის სტატუსის მიღებას, თავად ეს მოთხოვნა კი დროებით ახდენს მათი ქვეყანაში ყოფნის ლეგალიზებას. სანამ უარყოფით პასუხს არ მიიღებენ, მათ შეუძლიათ იცხოვრონ შვეიცარიაში, დოკუმენტების განხილვის პროცესი კი გრძელდება დიდხანს.

**ალბერტ ვენალაინენი**

РОСБАЛТ

# „საქართველომ რუსეთის შესახებ დროებით უნდა დაივიწყოს“

**27-ში ჟენევაში გაიმართება კავკასიაში უშიშროების საერთაშორისო დისკუსიების მე-12 რაუნდი. შეხვედრები ეწყობა 2008 წელს კავკასიაში სამხედრო მოქმედებათა შემდეგ, მასში მონაწილეობენ ევროსაბჭოს, ეუთოს, გაეროს, მოსკოვის, თბილისის, ვაშინგტონის, სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლები. სამხრეთ ოსეთის დელეგაცია ჟენევაში გაემგზავრა, რომ კვლავ დააყენოს საკითხი კავკასიის რეგიონში ძალის გამოუყენებლობის დოკუმენტის მიღების შესახებ. საქართველოს მთავრობამ კი ამ მოლაპარაკებისთვის დაამტკიცა ახალი სტრატეგია აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობათა მოწესრიგებისთვის „ჩართვა დიალოგის გზით“. გამოყოფილ რესპუბლიკებთან და რუსეთთან კონტაქტებისა და ურთიერთობების პერსპექტივების შესახებ გვესაუბრება საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი**

*– ამჯერად აფხაზებმა პირველად შეიკავეს თავი ჟენევის მოლაპარაკებაში მონაწილეობისგან, მათ მიაჩნიათ რომ შეხვედრები არაეფექტიანია...*

– ისინი ცბიერობენ. მიიღებენ მონაწილეობას, მხოლოდ ფორმატი ცოტა შეიცვლება, გაიმართება ინდივიდუალური შეხვედრები.

*– აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სურთ ხელი მოაწერონ თბილისთან ხელშეკრულებას ომის განუახლებლობის შესახებ. ისინი ამბობენ, რომ უკმაყოფილონი არიან ჟენევის მოლაპარაკებით, ვინაიდან შეხვედრებს შედეგები არ მოაქვთ.*

– ესეც ცბიერობაა. ხელშეკრულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ უკვე ხელმოწერილია (2008 წლის აგვისტოში საბრძოლო მოქმედებანი შეწყდა მედვედევ-სარკოზის შეთანხმებით – რედ.ძ. ამჟამად რუსეთი ცდილობს აფხაზები და ოსები წარმოაჩინონ როგორც დამოუკიდებელი მოთამაშეები. მაგრამ ეს არასოდეს მოხდება. ჩვენ მათ კი არა, რუსეთის ფედერაციას ვეომებოდით. რუსებს თავად სურთ გამოძვრნენ სიტუაციიდან, აჩვენონ, რომ ისინი ნეიტრალურები არიან. ფოკუსი არ გავა! ჩვენ მზად ვართ კიდევ ერთხელ მოვაწეროთ ხელი შეთანხმებას, მაგრამ რუსეთთან. შეთანხმება უნდა იყოს საერთაშორისო გარანტიებით.

*– როგორ განხორციელდება ახალი სამთავრობო სტრატეგია, რომ ჩაირთოს მასში აფხაზეთი და ოსეთი რუსეთის მონაწილეობით, როდესაც საუბრობთ მოსკოვის მიერ სრულ კონტროლზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში?*

– ჩვენს სტრატეგიას ურთიერთობა არა აქვს რუსეთთან. ეს არის გეგმები, რომლებიც ჩვენს მოსახლეობას შეეხება. რუსეთს შეუძლია ხელი შეუშალოს მათს რეალიზაციას, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ დავაყენებთ საკითხს საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე. საერთოდ, ვფიქრობ, ამისთვის ხელის შეშლა მიზანშეწონილი არაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში რუსები მიიღებენ იქაური მოსახლეობის მხრიდან ნეგატიურ რეაქციას. რა საჭიროა არაპოლიტიკური მომენტებისათვის ხელის შეშლა – ადამიანური კონტაქტებისთვის, ვაჭრობისთვის, განათლებისთვის, ჯანმრთელობის დაცვისთვის, სპორტისთვის, ეკოლოგიისთვის, ერთობლივი საწარმოების შექმნისთვის? სტრატეგია ორიენტირებულია ჩვეულებრივ ადამიანებზე. მე ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ შეიძლება დაბლოკო ყველაფერი, მაგალითად თუნდაც ხალხის გადაადგილება. ზუგდიდში ბაზარზე 1 კილო პამიდორი ღირს 2 ლარი, სოხუმში კი – 6-ჯერ უფრო ძვირია. აფხაზეთში ჩავარდა ტურისტული სეზონი, ამის ერთ-ერთი მიზეზია – მაღალი ფასები.

ხელოვნური ეკონომიკური დაბრკოლებების შექმნა არ არის პროდუქტიული. ჩვენ არავის ვიბევებთ, არავის ვყიდულობთ. ჩვენ გვინდა დავეხმაროთ ჩვენ ხალხს. პოლიტიკური მომენტები კი განიხილება ჟენევაში. ჩვენს კონცეფციაში ხსენებულიც კი არ არის სტატუსი, უშიშროება, უნდა ვისწავლოთ, გამოვყოთ პოლიტიკა ჰუმანიტარული საკითხებისგან.

*– 2008 წლის მოვლენების შემდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძლიერია სკეპტიკური დამოკიდებულება საქართველოს ნებისმიერი გეგმისადმი...*

– იქ არ არის სკეპსისი. იქ ელოდებიან, რომ დარწმუნდნენ – რამდენად არის განწყობილი ქართული მხარე ყოველივე დაწერილის განხორციელებისთვის. ჩვენ დავარწმუნებთ მათ, რომ სერიოზულად ვართ განწყობილი!

*– ამისთვის ქმნიან თბილისში თანამშრომლობის სააგენტოსა და ნდობის ფონდსს?*

– ეს ინსტრუმენტები დაგვეხმარება განვახორციელოთ ჩანაფიქრი. ჩვენ გვჭირდება არა დონორები, არამედ საერთაშორისო პარტნიორები. მარტო ჩვენ ამას თავს ვერ გავართმევთ. მაგალითად, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განახლების მიღების საკითხში. ანდა, როდესაც ვლაპარაკობთ გადაადგილების შესახებ, საჭიროა ვიზები. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ევროკავშირი მოწონებით შეხვდა ჩვენს კონცეფციას. მსოფლიოს შეუძლია გაიზიაროს გამოცდილება.

*– მსოფლიო სთხოვს საქართველოს მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან?*

– არავინ არაფერს არ ითხოვს – მხოლოდ საუბრობენ, რომ ეს იქნებოდა კარგიო. ბუნებრივია, რომ ჩვენც გვინდა ნორმალური ურთიერთობანი – იქნებ უფრო მეტადაც, ვიდრე ევროპას ან ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩვენ ხომ მეზობლები ვართ. მაგრამ ჯერჯერობით რუსეთი ჩვენ აღგვიქვამს, როგორც ვასალებს, პრობლემები იქნება.

*– პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამას წინათ თქვა, რომ საქართველო მზადაა რუსეთთან დიალოგისთვის...*

– ჩვენ გვყავს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც კარგად იცნობენ რუსეთის დიპლომატიურ წრეებში, მას პირადად იცნობენ, მას ენდობიან. თუ რუსეთის მხრიდან არის სურვილი ვაწარმოოთ დიალოგი, მათ იციან, თუ ვის დაურეკონ და რომელი არხით მოგვმართონ. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ყველაფერზე ორი რამის გარდა. ეს არის საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა: ჩვენ ამით არ ვვაჭრობთ, არ განვიხილავთ ამ საკითხებს.

*– საჭიროა შუამავლები რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებისთვის?*

– დრო გვიჩვენებს. თუ საჭირო გახდება, ისინი გამოჩნდებიან. თუ საგნობრივი საუბარი გვექნება, ვფიქრობ, რომ გარკვეულ მომენტებში შუამავლები დაგვჭირდება, ვინაიდან ნდობა ორ ქვეყანას შორის ნულოვანია.

*– როგორ კომენტარს გაუკეთებდით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების პირველ ვიზიტებს ნიკარაგუასა და ვენესუელაში? მათ ხომ ნაურუს რესპუბლიკასთან ერთად აღიარეს ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობა რუსეთის შემდეგ...*

– მიხარია, რომ რუსეთის გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე ორმოცი აფხაზი და ორმოცი ოსი ისვენებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ეს ყველაფერი შინაგანი გამოყენებისთვისაა. აფხაზებმა და ოსებმა კარგად იციან: ეს აღიარება მოჩვენებითია.

*– აგვისტოს დასაწყისში 2 წელი სრულდება კავკასიაში ომის შემდეგ. თქვენი აზრით, რა გაკვეთილები უნდა გამოიტანოს საქართველომ აქედან?*

– მომხდარის შემდეგ საქართველოში ვიცით, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს რუსეთთან. უფრო სწორად, თუ როგორი ურთიერთობა არ უნდა გვქონდეს. საჭიროა დავივიწყოთ რუსეთის შესახებ გარკვეული დროით, ვიდრე ის არ შეწყვეტს ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას. ეს იქნება ყველაზე კარგი ჩვენთვის.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე



**ლუკაშენკო ცდილობს გადაარჩინოს თავისი იმიჯი ბრიტანეთის ახალი პიარშჩიკის დახმარებით**

ადრე ბელარუსის პრეზიდენტს ძირითადად აკრიტიკებდნენ დასავლეთში, სადა ც იგი მიაჩნიათ „ევროპის უკანასკნელ დიქტატორად“, მაგრამ „ტელეომის“ შემდეგ მისმა რეპუტაციამ ზარალი განიცადა რუსეთშიც. სხვათა შორის, თუ ლუკაშენკოს გარემოცვა იგრძნობს, რომ მოსკოვმა მათი შეფი გადააგდო, ისინი დატოვებენ ჩაძირვისთვის განწირულ ხომალდს, მიაჩნიათ მეთვალყურეებს.

* * *

**რუსი მფრინავი გამოექცა ავღანელ მეამბოხეებს, და გამოიტაცა საკუთარი თვითმფრინავი**



ავღანელი მეამბოხეები უტევდნენ პატარა ასაფრენ-დასაფრენ ზოლს, ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ იქ მოსული თვითმფრინავი. თავდამსხმელებმა შეძლეს მფრინავის აყვანა – ის ინდოეთის მოქალაქე იყო. დაიჭრა თვითმფრინავში მყოფი კონგოს მოქალაქე. თუმცა რუსეთელმა შეძლო დამალულიყო თვითმფრინავში, მოემართა იგი და გაფრენილიყო.

* * *

**იაპონიაში ერთი კვირის განმავლობაში მზის დარტყმისგან 57 კაცი გარდაიცვალა, თითქმის 10 ათასი ჰოსპიტალიზებულია**



ამ დროს მთელი გასული წლის განმავლობაში იაპონიაში მზის დარტყმისგან გარდაიცვალა 16 კაცი. ივლისის შუა რიცხვებიდან ქვეყანაში დადგა ადგილობრივი ზაფხულისთვის ცხელი ტენიანი ამინდი, როდესაც ტემპერატურა ჩრდილში 35 გრადუსს აჭარბებს. ქვეყნის ბევრ რაიონში ტემპერატურამ უკვე მიაღწია 40 გრადუსს ჩრდილში.

* * *

**აშშ-ს არ აქვს განზრახვა, თავს დაესხას ვენესუელას**

სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვენესუელის ლიდერის უგო ჩავესის გამონათქვამს გაუკეთა კომენტარი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ ამუშავებს მასზე თავდასხმისა და ქვეყნის ამჟამინდელი მთავრობის გადაყენების გეგმებს. კროულიმ ურჩია ვენესუელას, ნუ დადგება პოზაში, არ უპასუხოს კოლუმბიის ბრალდებებს და გააუმჯობესოს ურთიერთობანი მასთან.



ცეცხლი – წარსულიდან!

# მეფის მკვლელი ვლადიმერ იაშვილი

**1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. სულ რამდენიმე დღის შემდეგ, 18 იანვარს, იმპერატორმა პავლე I-მა გამოაქვეყნა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ.**

მანიფესტში სრულად იყო ჩამოთვლილი იმპერატორის მთელი ტიტულატურა, რომელიც ვფიქრობთ, თანამედროვე მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. **„ჩვენ, პავლე პირველი, სრულიად რუსეთის იმპერატორი და თვითმპყრობელი, მოსკოვის, კიევის, ვლადიმირის, ნოვგოროდის, ყაზანის მეფე, ასტრახანის მეფე, ციმბირის მეფე, ხერსონეს-თავრიდის მეფე, ხელმწიფე ფსკოვისა, დიდი მთავარი სმოლენსკისა, ლიტვისა, ვოლინის და პოდოლსკისა, მთავარი ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კურლანდიისა და სემიგალიისა, სამოგიცკის, კორელის, ტვერის, იუგორის, პერმის, ვიატკის, ბოლგარის მიწებისა, ხელმწიფე და დიდი მთავარი ნიჟნი-ნოვგოროდისა, ჩერნიგოვისა, რიაზანისა, პოლოცკის, როსტოვის, იაროსლავლის, ბელოზერსკის, უდორის, ობდორის, კონდორის, ვიშეპსკის, მსტისლავსკის და სრულიად ჩრდილოეთის ქვეყნის, მბრძანებელი და ხელმწიფე ივერთა ქვეყნისა ქართლისა და ქართველთა მიწისა და ყაბარდოსი, ჩერქეზთა და მთის თავადების შთამომავლობითი ხელმწიფე და მფლობელი, ნორვეგიის ტახტის მემკვიდრე, შლეზვიგ-ჰოლშტინიის, სტორმარის, დიტმარსენის და ოლდენბურგის ჰერცოგი, წმინდა იოანე იერუსალიმელის სახელმწიფო ორდენის დიდი მაგისტრი, და სხვათა და სხვათა, და სხვათა...“**

და ეს, ასე ვთქვათ, ნახევარი მსოფლიოს მეფე, 1801 წლის 11 მარტს, შეთქმულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. სხვაგან ისე მალე ვერ შეიტყვეს, მაგრამ იმავე დღის საღამოსთვის პეტერბურგი აღტაცებამ და ეიფორიამ მოიცვა. როგორც იმდროინდელი მექრონიკე წერდა, პეტერბურგის მაღაზიებსა და დუქნებში ერთი ბოთლი შამპანურიც კი აღარ დარჩა.

არც ერთი თვითმპყრობელი პოპულარული არა ყოფილა და ვერც იქნებოდა, თუმცა პავლე I-ის სიძულვილი მაინც სხვა იყო.

ეს, აშკარად არანორმალური, შლეგი იმპერატორი ყველას ეჯავრებოდა: ხალხს, თავად-აზნაურობას, არმიას, თვით საკუთარ დედას – ეკატერინე II-ესაც. ეკატერინემ პავლეს, რომელსაც 10 კანონიერი შვილი (და რამდენიმე უკანონო) ჰყავდა, წაართვა ორი უფროსი ვაჟი და სახელებიც ხომ ადრე თვითონვე შეურჩია... ალექსანდრე (იმ სურვილით, რომ მეორე ალექსანდრე მაკედონელი გამოსულიყო) და კონსტანტინე (დიდი იმპერატორის, კონსტანტინეს სეხნია გახადა, კონსტანტინოპოლის დაპყრობის სურვილით). პავლე ამ უფროს ვაჟებს წლობით ხმას არ სცემდა, თვლიდა, რომ დიდედამ „მოწამლა“ ისინი და მამას დაუპირისპირა. ამიტომაც ფიქრობდა, ტახტის მემკვიდრედ მესამე ვაჟი ნიკოლოზი გამოეცხადებინა (იყო სხვაც – მისი დისწულის ევგენი ვიურტემბერგელის კანდიდატურაც. ეს გერმანელი პრინცი პავლემ მეტად საეჭვოდ დაიახლოვა).

ნიკოლოზისა და კიდევ ერთი მომდენო ვაჟის, მიხეილის აღსაზრდელად, იმპერატორმა, მოულოდნელად, საკუთარი „სტილის“ სრული დაცვით, გაუნათლებელი სალდაფონი, გენერალი ლამსდორფი იხმო.

გენერალი სახტად დარჩა:

– მომიტევეთ, ხელმწიფეო, მე რა გამეგება, როგორ უნდა აღვზარდო ისინი?!

– ძალიან კარგად აღზრდით, მე თქვენი იმედი მაქვს, ოღონდ ისეთი მოქეიფეები არ უნდა გამოვიდნენ, როგორიც გერმანელი პრინცები არიან!

ლამსდორფი საქმეს შეუდგა. ირჯებოდა, როგორც შეეძლო. რადგან აღსაზრდელები ძალიან ზარმაცები იყვნენ, ყოველდღე სახაზავს ურტყამდა. შვილების დალურჯებული ხელების შემხედვარე დედოფალი ჩიოდა:

– რა არის ეს ყოველდღიური ცემა, თუმცა, მე ვერაფერს შევბედავ პედაგოგს, მან უფრო იცის (გერმანელი ქალის ტრადიციული მოკრძალება პედაგოგების მიმართ).

ასე „აღიზარდა“ რუსეთის ისტორიაში ერთ-ერთი უსასტიკესი (და უარესი!) მეფე ნიკოლოზ I, რომელსაც მეტსახელად „პალკინი“ (ჯოხაძე) შეერქვა.

10 შვილის პატრონი კი იყო, მაგრამ თვით პავლემ ვერაფრით დაადგინა, ვინ იყო მისი მამა. რა თქმა უნდა, არა – დეგენერატი პეტრე III, რომელსაც პავლეს დედა ეკატერინე (მომავალში მისი მკვლელი) დასანახავად ეჯავრებოდა. არადა, ვის აღარ ასახელებდნენ! თვით პავლე, სანამ ტახტის მემკვიდრე იყო, სულ ეძებდა თავის შესაძლო მამას, მაგრამ ვერ მიაგნო. ერთხელ, პეტერბურგში სტუმრად ჩასულ პოლონეთის მეფეს სტანისლავ პონიატოვსკისაც (მასზე ამბობდნენ, რომ ადრე...) კი ჰკითხა:

– თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ ხომ არა ხართ ჩემი მამა?

(ისე კი ეჭვები, როგორც მოგახსენეთ, მართლაც იყო).

– რას ბრძანებთ, თქვენო უმაღლესობავ! – იუარა გალანტურმა პოლონელმა.

შემდეგში, ამ კითხვით, გამოჩენილ ისტორიკოსებსაც მიმართავდნენ ხოლმე. თავისი დროის უპირველესმა ისტორიკოსმა ვასილი კლიუჩევსკიმ, ერთხანს თავი აქნია და ამოღერღა – რა გითხრათ, ალბათ, მაინც, გრაფი სერგეი სალტიკოვი...

პავლე I ჯოხის სისტემით მართავდა რუსეთს და ამ ჯოხს, ხშირად ოფიცრებსაც ურტყამდა. თავისი ოჯახისათვის ხომ ნამდვილი დესპოტი იყო. დედოფალს მონაზონად აღკვეცას უპირებდა, უფროს ვაჟებს – ალექსანდრესა და კონსტანტინეს – დაპატიმრებას, მინისტრებს – ცემა-ტყეპით გარეკვას, ხშირად ლაპარაკობდა შორეულ ინდოეთში ლაშქრობაზე.

– აი, მაშინ კი ვიცხოვრებთ მე და შენ ძმურად! – უთხრა მასთან ყველაზე დაახლოებულ პირს, გრაფ ივან კუტაისოვს. განსაჯეთ მათი სიახლოვის დონე: მეფე და კუტაისოვს „საერთო საყვარელიც“ ჰყავდათ – ფრანგი მსახიობი ქალი შევალიე.

და რაღა გასაკვირი იყო, რომ მომზადდა შეთქმულება ამ პარანოიით დაავადებული მეფის თავიდან მოსაშორებლად. შეთქმულებას ხელმძღვანელობდნენ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი გრაფი პალენი და ცნობილი საბრძოლო გენერალი ბენიგსენი.



სრულიად რუსეთის იმპერატორი პავლე პირველი

ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე საქმის კურსში იყო. მას არწმუნებდნენ, რომ ყველაფერი უმტკივნეულოდ მოხდებოდა(?), მეფეს არაფერს დაუშავებდნენ(?!), უბრალოდ, გადააყენებდნენ და ახალი იმპერატორი ალექსანდრე, დესპოტური და ქაოტური მმართველობის ნაცვლად წესრიგს დაამყარებდა. ერთი სიტყვით, თითქოს ყველაფერი კეთილად უნდა დასრულებულიყო.

თვით პავლეს ძლიერი ეჭვები კი ჰქონდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ კარგად დაცულ მიხეილის სასახლეში, სადაც იმპერატორი თავისი ოჯახიდან განცალკევებით ცხოვრობდა, შეთქმულები მაინც შეიჭრნენ და შლეგი მონარქი სიცოცხლეს გამოასალმეს. ეს მკვლელობა მრავალ ისტორიულ ნაშრომშია აღწერილი, მხატვრულ ნაწარმოებებშიც, რომელთა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მარკ ალდანოვის რომანი „შეთქმულება“ და დმიტრი მერეჟკოვსკის პიესა „პავლე I“. ეს პიესა, არც ისე დიდი ხნის წინათ, მოსკოვში, არმიის ცენტრალური თეატრის სცენაზე იდგმებოდა.

ყველა ამ ნაშრომში დასახელებულია პავლე I-ის უშუალო მკვლელიც – პოლკოვნიკი ვლადიმერ იაშვილი. მოტივი თითქოს ის უნდა ყოფილიყო, რომ მას გაშმაგებულმა იმპერატორმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ძმები ლევან (ლევ) და ვლადიმერ იაშვილები სულ პატარები ჩავიდნენ რუსეთში, მიიღეს სამხედრო განათლება, და, თანდათანობით, ცნობილი ოფიცრები გახდნენ.

უმცროს ძმაზე, ლევანზე, რომელმაც არტილერიის კადეტთა კორპუსი დაამთავრა, ომობდა ბალკანეთში, პოლონეთში, პრუსიასა და საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ, აქ არ ვილაპარაკებთ. მან უამრავი სამხედრო ჯილდო დაიმსახურა და არტილერიის გენერლის წოდებით დაასრულა სამხედრო კარიერა.

რაც შეეხება ვლადიმერ იაშვილს. იგი გვარდიის ოფიცერი იყო და პეტერბურგის გარნიზონში მსახურობდა. სწორედ, აქ უთავაზა მას პავლე I-მა ჯოხი, და, შემდეგში იაშვილმა შური იძია. ისეთი შეურაცხყოფილი ყოფილა, რომ თითქოს, მაშინაც კი, როცა დაუცავად დარჩენილმა იმპერატორმა თქვა, ოღონდ არ მომკლათ, გადადგომაზე ხელს მოვაწერო (და დანდობის იმედიც ექნებოდა), ვლადიმერ იაშვილს შეუძახია: „დიახ, დღეს ხელს მოაწერს ყველაფერს, რაც ჩვენ გვინდა, ხვალ კი ყველას ეშაფოტზე თავებს დაგვაყრევინებს“.

ერთი სიტყვით, თითქოს ნათელი უნდა ყოფილიყო მკვლელობის საბაბი – შეურაცხყოფა, პირადი შურისძიება. მაგრამ საქმე სულ სხვანაირად ყოფილა!

– 1909 წელს, პავლეს მკვლელობიდან საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ჟურნალმა „რუსკაია სტარინამ“ გამოაქვეყნა ვლადიმერ იაშვილის წერილი ახალი იმპერატორის ალექსანდრე პირველისადმი. ამ წერილის შინაარსი მთელი საუკუნის მანძილზე ცნობილი იყო მეცნიერებისათვის, დაბეჭდვას კი ვერავინ ბედავდა.

აი, რამდენიმე ნაწყვეტი ამ წერილიდან:

**„მეფეო, იმ დღიდან მოყოლებული, რაც მამათქვენი ტახტზე ავიდა, მე გადავწყვიტე თავი შემეწირა, თუკი ეს საჭირო იქნებოდა რუსეთის ინტერესებისათვის, ქვეყნისთვის, რომელიც დიდი პეტრეს სიკვდილის შემდეგ, ჯერ მედროვეების სათამაშოდ იქცა, შემდეგ – მსხვერპლადაც...**

**ჩვენი ქვეყანა თვითმპყრობელობის ხელშია, მილიონობით ადამიანის ბედ-იღბალი ერთი ადამიანის ჭკუაზე და სულისკვეთებაზეა დამოკიდებული. პეტრე დიდს კი შეეძლო, მართლაც, ყოფილიყო თვითმპყრობელი, მისი ბრძნული მმართველობით ქვეყანა ისვენებდა (ძალზე სადავო აზრია – რედ.), მაგრამ გენიოსები ხომ ესოდენ იშვიათია...**

**ღმერთმა ხომ იცის, ჩვენ ხელები სისხლში პირადი გამორჩენის გამო არ გაგვისვრია. გვინდოდა მსხვერპლს სიკეთე მოეტანა. გაგვიგეთ, ჩვენ დიდი მოწოდება გვამოძრავებდა. ტახტზე რომ ზიხართ, თუკი ეს შესაძლებელია, იყავით პატიოსანი ადამიანი, რუსეთის მოქალაქე. გაიგეთ, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ადამიანს ყოველთვის აქვს გამოსავალი (ეს უკვე მუქარაა – რედ.) და სამშობლოს დაღუპვამდე ნუ მიიყვანთ.**

**ადამიანს, რომელმაც რუსეთისათვის თავი გასწირა, შეუძლია თქვენ ასე გითხრათ. მე ახლა უფრო დიდი ვარ, ვიდრე თქვენ, იმიტომ, რომ არაფერი მსურს, არაფერს მოვითხოვ... მეფეო! მე ხელმწიფისათვის, სამშობლოსათვის ვარ, შვილისათვის კი – მამის მკვლელი!“**

ერთი სიტყვით, როგორც ეს უკვე საყოველთაოდ გახდა ცნობილი, პავლე I-ის ნამდვილი მკვლელი ვლადიმერ იაშვილი კი არა, იმპერატორი ალექსანდრე I იყო. მან ყველაფერი იცოდა და წინასწარ ხელები დაიბანა. შემდეგ კი ისე იქცეოდა, თითქოს არაფერ შუაში იყო, ამიტომაც შემდეგში „ცბიერი ბიზანტიელის“ სახელიც დაიმსახურა.

არც ერთი დაპირება ქვეყანაში მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ ახალ იმპერატორს არ შეუსრულებია.სწორედ ამან დააწერინა ვლადიმერ იაშვილს ესოდენ აღელვებული წერილი. მეორე მხრივ, მამისმკვლელ ალექსანდრეს, ეტყობა, მართლაც ქენჯნიდა სინდისი. ამიტომაც შეეცადა, ყველა შეთქმული დიდი იქნებოდა თუ პატარა, თავიდან მოეცილებინა.

სანქციები, რასაკვირველია, ვლადიმერ იაშვილსაც შეეხო. 1803 წელს მას თანამდებობა დაატოვებინეს და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, თავის სოფელ მურომცევოში (კალუგის გუბერნია) გადაასახლეს. ამიერიდან მას ორივე დედაქალაქში, პეტერბურგში და მოსკოვში ცხოვრების უფლებაც აღარ ჰქონდა. ასე იცხოვრა სოფელში გვარდიის პოლკოვნიკმა (სხვა ცნობით, გენერალ-მაიორმა) ვლადიმერ იაშვილმა მთელი 9 წლის განმავლობაში, დარწმუნდა, რომ ახალი იმპერატორი არაფრით ყოფილა ძველზე უკეთესი.

1812 წელს, როცა რუსეთს ნაპოლეონი შემოესია, ვ. იაშვილი, შინ, გულხელდაკრეფილად ჯდომას არ აპირებდა. მისი ძმა ლევანი ხომ თავიდანვე ებრძოდა ფრანგებს და რუსეთის არმიასთან ერთად, პარიზში შევიდა. ვლადიმერი დაუკავშირდა მთავარსარდალ კუტუზოვს, კალუგის გუბერნიაში. რაზმი ჩამოაყალიბა და ბრძოლაში ჩაება. ომში მისი მონაწილეობა სულ 45 დღე გაგრძელდა. როცა ეს ამბავი იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გაიგო, სასტიკად განრისხდა. 1812 წლის 3 ოქტომბერს გამოქვეყნდა იმპერატორის რესკრიპტი მთავარსარდალ კუტუზოვისათვის საყვედურის გამოცხადების შესახებ, იმის გამო, რომ მან გაბედა და არმიაში მიიწვია ვ. იაშვილი. განა იმპერატორს არ ახსოვს, ვინ მოკლა მამამისი!

იაშვილი დააბრუნეს თავის სოფელში... იგი ახალ რეპრესიებს ელოდა, ციმბირში გადასახლებასაც კი!

1815 წელს, 50 წლისა, გარდაიცვალა მურომცევოში.

**გივი გამრეკელი**

მშვილდოსნობა

# ამერიკაში გამგზავრებამდე

საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრები ხათუნა ნარიმანიძის, ქრისტინე ესებუას და ასმათ დიასამიძის შემადგენლობით „ლოკომოტივის“ სტადიონზე გადის საწვრთნელ შეკრებას. ჩვენი ჩუბინები მთავარი მწვრთნელის თამაზ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით



მსოფლიო თასის გათამაშების მე-3 ეტაპისთვის ემზადებიან, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უმასპინძლებს. ამას წინათ მშვილდოსანთა მორიგ ვარჯიშს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, მისი მოადგილე დავით ნამგალაური, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე გია გალდავა, მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი მამუკა ქაცარავა დაესწრნენ.

„ჩვენი სპორტსმენები ორი კვირაა, „ლოკომოტივზე“ ვარჯიშობენ და კარგ ფორმაშიც არიან. ამერიკაში მათ საკმაოდ რთული ტურნირი ელით. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვართ, რომ წარმატებით იასპარეზებენ. ნაკრებისგან 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებს ველით, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მშვილდოსნებს სპორტის სამინისტროსგან ყურადღება არ მოაკლდებათ“, – თქვა ლადო ვარძელაშვილმა.

„ჩუბინებს ყოველმხრივ ვეხმარებით, რათა საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით იასპარეზონ. შემოდგომაზე სამხრეთკორეელი და იაპონელი სპეციალისტების ჩამოყვანას ვაპირებთ. ისინი ნაკრების მომზადებაში აქტიურად ჩაებმებიან. კორეელი ტექნიკურ მხარეზე იმუშავებს, იაპონელი კი სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას უზრუნველყოფს“, – დასძინა მამუკა ქაცარავამ.

საქართველოს ქალთა ნაკრები ოკეანის გაღმა 30 ივლისს გაემგზავრება.

**გიორგი გაგუა**

ჭადრაკი

# ხვალიდან ულან-ბატორში



**ფიდეს გადაწყვეტილებით, ქალებში გრან-პრის ექვსი ეტაპი უნდა გათამაშდეს. მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატი მანდილოსნები ოთხ-ოთხში იასპარეზებენ და სამი საუკეთესო შედეგი შევა საერთო ჩათვლაში. პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკე მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის რუს ალექსანდრა კოსტენიუკს დაუპირისპირდება.**

ქალბატონებმა ოთხი ეტაპი უკვე მოილიეს. მათგან სამში იასპარეზა ნანა ძაგნიძემ, რომელიც 390 ქულით ჯერჯერობით პირველ ადგილზეა. მე-5 ეტაპს ულან-ბატორი უმასპინძლებს. იქ 18 დიდოსტატი მოსინჯავს ძალებს, მათ შორის – ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, რომელსაც ორი ეტაპის ჯამში მხოლოდ 85 ქულა აქვს და აუტსაიდერთა შორისაა. მონღოლეთის დედაქალაქში ტურნირის ფავორიტებად რუს ტატიანა კოსინცევას (290 ქულაძ, ინდოელ ჰამფი კონერუს (230ძ, ჩინელ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს სიუ იუჰუას (190ძ და მის თანამემამულე ჰოუ იფანს (320ძ მიიჩნევენ. საგულისხმოა, რომ გამარჯვების უპირველეს კანდიდატ ტატიანა კოსინცევასთვის ეს შეჯიბრება ბოლო იქნება, რადგან მე-4 ეტაპზე მონაწილეობაზე თავიდანვე თქვა უარი. მან კლუბთან კონტრაქტის დარღვევა არ ისურვა. მისი მთავარი მეტოქე ნანა ძაგნიძე კი ბოლო ეტაპზე ჩილეში მოსინჯავს ძალებს.

ულანბატორული ბატალიები ხვალ დაიწყება. საპრიზო ადგილებისთვის წრიული სისტემით ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ჰოუ იფანი (ჩინეთი, 320 ქულაძ, ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 290ძ, ჟაო სიუ (ჩინეთი, 240ძ, ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 230ძ, სიუ იუჰუა (ჩინეთი, 190ძ, მარი სებაგი (საფრანგეთი, 160ძ, შენ იანი (ჩინეთი, 140ძ, ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 138ძ, ბათჰუიაგ მონგონთუული (მონღოლეთი, 120ძ, ჟუ ჩენი (ყატარი, 100ძ, მაია ჩიბურდანიძე (85ძ, ბეთულ ილდიზი (თურქეთი, 40ძ.

**ლექსო ცინცაძე**

# მატჩ-ტურნირი – ყაზანში

**როგორც ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოზე ნორვეგიის ქალაქ ტრომსიოში გამოაცხადეს, 2011 წლის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი გაიმართება ყაზანში. გაითვალისწინეს რა ადრინდელი მოლაპარაკება აზერბაიჯანთან, გადაწყდა, შეინარჩუნონ ამ ქვეყნის ნომინანტი – ის იქნება დიდოსტატი შახრიარ მამედიაროვი.** როგორც პრესისთვის ფიდეს პრეზიდენტმა ილიუმჟინოვმა განაცხადა, მამედიაროვის გარდა, პრეტენდენტთა რვიანში შევლენ: ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთიძ, მაგნუს კარლსენი (ნორვეგიაძ, ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთიძ, ლევონ არონიანი (სომხეთიძ, თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანიძ, ბორის გელფანდი (ისრაელიძ და გატა კამსკი (აშშძ.



იმის გამო, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვესელინ ტოპალოვმა უარი განაცხადა რუსეთში თამაშზე, ილიუმჟინიოვმა თქვა, რომ ის გაუგზავნის წერილს ტოპალოვს, რათა ნუ მიიღებს დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას და თუ იგი მაინც უარს იტყვის ყაზანში თამაშზე, მის ადგილს დაიკავებს ფიდეს „გრან-პრის“ მიხედვით შემაჯამებელ ოქმში მესამე ადგილზე გამოსული რუსეთელი ალექსანდრე გრიშჩუკი.

ძიუდო

# რეპეტიციას პრაღაში გაივლიან



**წლეულს 17-19 სექტემბერს ბულგარეთის დედაქალაქი ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი ფალავნები ატლანტის ოლიმპიადის მესამე პრიზიორის სოსო ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით.** ჯერჯერობით სოფიაში წამსვლელთა ვინაობა გაურკვეველია. საამისოდ მწვრთნელები პრაღის საერთაშორისო ტურნირს გამოიყენებენ. ივლისის მიწურულს ჩეხეთის დედაქალაქში ჩვენები თითოეულ წონაში ორ-ორი შემადგენლობით გაემგზავრებიან. ვინც უკეთ იჭიდავებს, კონტინენტის პირველობაშიც ის მიიღებს მონაწილეობას. პრაღის ტატამზე კი ძალებს გამოცდიან ოთარ კაიდარაშვილი, ლაშა გიუნაშვილი (55ძ, გიორგი ბროლაშვილი, შმაგი ლაგაზაური (60ძ, ლაშა ლომიძე, ფრიდონ გიგანი (66ძ, ზებედა რეხვიაშვილი, ბექქილ აფრასიძე (73ძ, ავთანდილ ჭრიკიშვილი, გიორგი მერმანიშვილი (81ძ, არჩილ შინჯიკაშვილი, გიორგი ნოზაძე (90ძ, მიხეილ ნარიმანიძე (100ძ, უშანგი კოკაური, სლავა რეზესიძე (+100ძ. ჩეხეთის ტურნირზე საკუთარი ხარჯებით მიემგზავრებიან საქართველოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორები: ლაშა შავდათუაშვილი (66ძ, ლაშა ზურაბიანი (73ძ და გიორგი უსტარაშვილი (81ძ.

საგულისხმოა, რომ ქალთა ნაკრების მწვრთნელი გიორგი თენაძე ევროპულ ტატამზე საასპარეზოდ კარგა ხანია, ნონა მერაბიშვილს (52ძ, სოფიო ბერიძეს (57ძ, შორენა შარაძეს (63ძ, თეა სუხიტაშვილსა (70ძ და თამარ ლომიძეს (+70ძ ამზადებს.

**ლაშა ბედია**

მონარქი – ჩემპიონი

# ყველაფერი ნორვეგიისთვის!

**იმ დღეს ნორვეგიის დედაქალაქის ოსლოს ქუჩებში ასი ათასზე მეტი კაცი გამოვიდა, რათა უკანასკნელი პატივი მიეგო თავისი ხელმწიფისადმი, რომელსაც სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად „ფოლკეკიონგენს“, ანუ „სახალხო მეფეს“ უწოდებდნენ. ნორვეგიის მეფის ოლაფ V დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიას სამეფო სახლიდან ოსლოს საკათედრო ტაძრამდე, სამეფო ოჯახის წევრებს გარდა ასზე მეტი ქვეყნის მეთაური, ესპანეთის მეფე, დანიის დედოფალი, ინგლისის ტახტის მემკვიდრე და სხვა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი თუ დიდგვაროვანი პიროვნება მიჰყვებოდა.**



შლეზვიგ-ჰოლშტაინ-ზონდენბურგ-გლიუკსბურგთა დინასტიის წარმომადგენელი ალექსანდრ ედუარდ ქრისტიან ფრედერიკი, შემდგომში ნორვეგიის მეფე ოლაფ V, მსოფლიო სამეფო დინასტიების ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე მოკლე სატახტო მიმართვის ავტორი: დამსწრე საზოგადოებას მან მხოლოდ ორი სიტყვით მიმართა: „ყველაფერი ნორვეგიისთვის!“

მომავალი მეფე ჩინებული სპორტსმენი იყო: 1928 წელს ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებზე მან ოქროს მედალი მოიპოვა იახტების ასპარეზობაში. 1936 წელს მან კვლავ მიიღო მონაწილეობა ოლიმპიადაში, ამჯერად ინკოგნიტოდ, ტურ ტურვალდსენის სახელით, თუმცა იმ ჯერზე მე-11 ადგილს დასჯერდა. მისი შემდგომი ოლიმპიური სტარტი 1948 წელს შედგა კვლავ ტურ ტურვალდსენის სახელით და კვლავ ჩემპიონის ტიტულის მოპოვებით დასრულდა იახტების „დრაკონის“ კლასში. ოთხი წლის შემდეგ ჰელსინკის ოლიმპიადაზე ტურ ტურვალდსენი და მისი ეკიპაჟი კვლავ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ხოლო 1937 წლის 21 სექტემბერს, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ტურ ტურვალდსენი, ოლაფ V სახელით, ნორვეგიის სამეფო ტახტზე ავიდა.

საგულისხმოა, რომ 33-წლიანი მეფობის მანძილზე, ოლაფ V თანამემამულეთა შორის ყოველგვარი დაცვის გარეშე დადიოდა და სიამაყით ამბობდა: „...სამაგიეროდ, მე ოთხი მილიონი დამცველი მყავს!“

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**

ინტერნეტიდან

## მარადონა მიდის?

**მართალია, გავრცელდა ხმა, ფეხბურთში არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიეგო მარადონა მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის მიუხედავად რჩება თავის პოსტზეო, მაგრამ, აი, არგენტინიდან მოსული ახალი ინფორმაცია იტყობინება, რომ დიეგო მიდის ნაკრებიდან.** ასეთი გადაწყვეტილება მას მიუღია ნაკრების მწვრთნელთა შტაბის ჩამოყალიბებაში არგენტინის ფეხბურთის ხელმძღვანელობის ჩარევის გამო, რაც მან განაცხადა იქაური ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს. თუმცა ამბობენ, რომ შეხვედრა მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ პრესამ გაახმაურა, რომ დიეგო არმანდომ უარი თქვა მუშაობის გაგრძელებაზე,. რადგან ნაკრებიდან დაითხოვეს რამდენიმე მოთამაშე, რასაც მარადონა კატეგორიულად არ ეთანხმება.



## აკრედიტაცია დაიწყო

**საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გუშინ ორი წლით ადრე გამოაცხადა 2012 წლის ლონდონის XXX საზაფხულო ოლიმპიადაზე ჟურნალისტთა აკრედიტაციის დაწყების შესახებ.**

დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, მწერალი ჟურნალისტებისა და ფოტოკორესპონდენტთა კვოტა განსაზღვრულია 5600 კაცით. რაც განისაზღვრა სიდნეის ოლიმპიადის წინ და მას შემდეგ აღარ შეცვლილა. ამ რიცხვში შედიან ეგრეთ წოდებული new media-ს, მათ შორის ინტერნეტ-გამოცემების, წარმომადგენლები.

## ფოტოსესია მოასწრო

**პოპულარულ „პლეიბოიში“ გადაიღეს მოჭიდავე. არ გეგონოთ, მამაკაცზე იყოს ლაპარაკი. ჩრდილო ამერიკაში არიან ქალი მოჭიდავეები, არაჩვეულებრივ შოუს რომ აწყობენ.**

**ერთ-ერთი მათგანია კანადელი მარიზ უელე, რომელიც ცნობილია როგორც მოდელი, რომელმაც გაიმარჯვა 2003 წელს კანადაში მოწყობილ გარუჯვის საშუალებების მწარმოებელი ამერიკული კომპანიის კასტინგში.**

2008 წელს იგი პირველად გამოჩნდა ტელეეკრანზე, ხოლო 2010 წლის თებერვალში ერთხელ კიდევ გაიმარჯვა ტელერინგზე მოწყობილ შეჯიბრებაზე.

ის გადაიღეს „პლეიბოის“ 2007 წლის კალენდრისთვის. ახლა ქვედა თეთრეულის რეკლამასაც ეწევა. მოინდომეს მისთვის, როგორც ატლეტისთვის, შეეთავაზებინათ ეროტიკულ ფოტოსესიებში მონაწილეობა, მაგრამ გამოდგა, რომ ინტიმური ფოტოების გადაღება რინგზე გამოსვლამდე მოესწრო.



კორუფცია

# გამგებელი დააკავეს

ხელისუფლების თითქმის ყველა შტოში გამეფებულია კორუფცია, მექრთამეობა, ალებ-მიცემობა. ტელევიზია ყოველდღიურად ფინანსურ მაქინაციებში მხილებულ სხვადასხვა რანგის ჩინოსნების დაკავების ფაქტებს გვიჩვენებს. მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ყველას გაცნობას ვერ ახერხებს, საეთერო დროის უკმარისობის, საზოგადოების დაზოგვის თუ სხვა მიზეზთა გამო. ზოგიერთი ჩინოსნის ვინაობას ინკოგნიტოდ ინახავენ, რათა შემდგომ მისგან გირაო აიღონ, ბიუჯეტი შეავსონ.

ხაშურის რაიონის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გამგებელი თამაზ გვალია ფინანსთა სამინისტროს შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა მოქალაქისაგან ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გვალია კარგა ხანია უკანონოდ გასცემდა წიწვოვანი ხის მოჭრის სხვადასხვა ყალბ საბუთს. მასთან ერთად ამ საქმიანობაში ჩართულნი იყვნენ ამავე ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი გიორგი ხაჩიძე და ჯემალ ხაჩიძე.

ეს უკანასკნელი მართალია არავითარ კავშირში არ იყო ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მაგრამ წარმატებით ასრულებდა შუამავლის როლს „კლიენტების“ მოძებნის კუთხით.

დაკავებულები შეამხანაგებული იყვნენ ბოლნისის რაიონის დაბა თამარისის ტერიტორიული მოწყობის რწმუნებულ, მუხრადიდ ბაირამოვთან, იგი თავის ტერიტორიაზე გასცემდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის ყალბ დოკუმენტებს. ოთხეული, კარგა ხანია ერთად მოღვაწეობდა — ირწმუნებიან ფინანსთა სამინისტროში.

ექვმიტანილებს 4-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ზაზა ბილიხოძე

ვერნისაჟი

# ომის აპოთეოზი



ვიქტორია ივლევას შემოქმედებას პირველად მასპინძლობს საქართველო. არადა იგი მსოფლიოში ცნობილი რეპორტიორი, ჟურნალისტი და ფოტოხელოვანია. წარმოშობით ლენინგრადელმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და ამჟამად „ნოვაია გაზეტაში“ მუშაობს სპეციალურ კორესპონდენტად. მისი შემოქმედებით დაინტერესებულია მსოფლიოს წამყვანი ჟურნალ-გაზეთები. იგი პირველი ფოტორეპორტიორი ქალია პოსტსაბჭოურ სივრცეში, რომლის ფოტოალბომი გამოიცა პარიზში, ნიუ-იორკში. იგი ერთადერთი ჟურნალისტია, რომელიც შევიდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის IV რეაქტორში და იქ გაკეთებულმა ფოტორეპორტაჟმა ფოტოჟურნალისტიკის სფეროს უდიდესი მსოფლიო კონკურსის პრიზი „ოქროს თვალი“ დაიმსახურა. იგი ერთადერთი რეპორტიორი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, რომელიც 1994 წელს რუანდის ომში იმყოფებოდა. გარდა ამისა, იგი ნამყოფია ანგოლაში, უგანდაში, ზაირში, ტაჯიკეთში და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ცხელ წერტილებში.

ამჟამად ცნობილი ფოტორეპორტიორის 42 ნამუშევარი, რომელიც გაერთიანებულია საერთო სათაურით „ომის აპოთეოზი“, გამოფენილია თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლის შენობაძ. ვიქტორია ივლევას ფოტოგამოფენა რუსეთისა და საქართველოს მშვიდობისმყოფელ ქალთა დიალოგის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელიც 2009 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაიწყო და რომლის შედეგადაც შეიქმნა ალიანსი „საქართველოს და რუსეთის მშვიდობისმყოფელ ქალთა დიალოგი“.

გამოფენა 23 ივლისს ორშაბათს გაიხსნა და 10 აგვისტომდე გასტანს.

ავთანდილ ბექაური

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო ვიქტორია ივლევას ნამუშევართა გამოფენიდან.











ინფორმაცია

# თსუ-ის ბიბლიოთეკიდან წიგნებს იპარავდნენ

თბილისის შს მთავარი სამმართველოს, უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავებიდან უნიკალურ წიგნებს იპარავდნენ.

საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულნი არიან: ვაჟა აზარიაშვილი, ზურაბ აღდგომელაშვილი, წარსულში ქრთამის აღებისათვის ნასამართლევი მერაბ ჭელიძე და ეჭვმიტანილად ცნობილია 1934 წელს დაბადებული კახელი იოსების ძე ხოტენაშვილი.

აღნიშნულმა პირებმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავებში არსებულ მე-18, მე-19 საუკუნეების ისტორიული და კულტურული ფასეულობების მქონე, ცხრამეტი დასახელების უნიკალურ რუსულენოვანი წიგნები მოიპარეს, სულ 516 ტომი, რომლებიც წინასწარ შეთანხმებული სქემის მიხედვით, უცხოეთში შემდგომი რეალიზაციის მიზნით, საქართველოდან უკრაინაში გაიტანეს.

— აღნიშნული პირების მიერ საცავებიდან არაერთგზის მოპარული და უცხოეთში გატანილი იქნა 30-მდე ისტორიული და კულტურული ფასეულობის მქონე მე-18 და მე-19 საუკუნეების ძვირადღირებული წიგნები, — იუწყება შს სამინისტრო.

წინასწარ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის მთავარი სამმართველო საქართველოს სსკ-ის 117-ე და 180-ე მუხლებით აწარმოებს. ასევე ტარდება ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე სხვა დამნაშავე პირების დადგენა-დაკავების და გატაცებული წიგნების ამოღების მიზნით.

ჯი-ეიჩ-ენი

დაიჯესტი

## ორენოვანი ოჯახის უპირატესობა



ბილინგვები — ეს არის ხალხი რომელიც ადრეული ბავშვობიდან ლაპარაკობს ორ ენაზე, — უფრო სწრაფად და ეფექტიანადართმევენ თავს ინტელექტუალურ ამოცანებს ვიდრე ისინი, ვინც მხოლოდ ერთ ენაზე საუბრობს, ამტკიცებენ ესპანელი მეცნიერები. მათ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის დახმარებით თვალყური გაადევნეს, ტვინის მუშაობას. შეამოწმეს მოხალისე სტუდენტების 2 ჯგუფი სხვადასხვა ამოცანის გადაჭრის დროს, აღმოჩნდა, რომ ბილინგვები ამისთვის იყენებენ ტვინის სხვა ზოლებს, არა იმათ, რომლებიც უფრო აქტიური ხდებიან ინტელექტუალური ამოცანების გადაწყვეტის დროს ჩვეულებრივ ადამიანებში.

უფრო ადრე მეცნიერებმა დიდი ბრიტანეთიდან, იტალიიდან და იაპონიიდან გამოარკვიეს, რომ ბავშვები, რომლებიც ადრეული ასაკიდან ლაპარაკობენ 2 ენაზე, უფრო უკეთესად ერკვევიან უხეშობასა და სიცრუეში, ვითარდებიან გაცილებით უფრო სწრაფად თანატოლებთან შედარებით, და როცა იზრდებიან, ინარჩუნებენ რეაქციის უფრო მაღალ სიჩქარეს.

## განქორწინება გადამდებია



ცოლ-ქმრის განქორწინება ვრცელდება მათს ნაცნობებსა და მახლობლებზე „ვირუსის მსგავსად“ და შეუძლია გამოიწვიოს განქორწინებათა მთელი წყება. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ფსიქოლოგები. მათ ისიც დაიანგარიშეს, რომ უახლოესი მეგობრების განქორწინება იზრდება 75%-ით.

ამერიკელი სპეციალისტები გვაფრთხილებენ იმის შესახებ, რომ საჭიროა განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მომზადება მათთვის; ვისაც აქვს ურთიერთობა იმ ოჯახებთან, რომლებიც დაიშალა.

## სად იმალება იმუნოდეფიციტი?

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი იმალება ზურგის ტვინში, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ შვედი მეცნიერები.

მათ შეისწავლეს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის დიაგნოზიანი პაციენტების ზურგის სითხე. ყველა პაციენტი რამდენიმე წლის განმავლობაში ღებულობდა მედიკამენტოზურ მკურნალობას. ინფიცირებულთა ნაწილის სისხლში ვირუსის კვალი ვერ აღმოაჩინეს, სამაგიეროდ ისინი აღმოჩნდნენ ზურგის ტვინის სითხეში. ზურგის ტვინი შემოფარგლულია დამცავი ბარიერით. ის შეიძლება გამხდარიყო ორგანიზმის ის ნაწილი, სადაც პრეპარატებს არ აქვთ ვირუსზე ზემოქმედების საშუალება.

ЗДОРОВЬЕ

ინფორმაცია

# მაშველებმა დამხრჩვალი ბიჭის ცხედარი იპოვეს

მაშველებმა შავ ზღვაში 16 წლის მირზა ქურციკიძის ცხედარი იპოვეს. მოზარდის ცხედარს მაშველები ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ.

გარდაცვლილი მშობლიურ სოფელში, ჩიბათში გადაასვენეს.

როგორც ცნობილია, უბედური შემთხვევა 24 ივლისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში მოხდა. მირზა ქურციკიძე ზღვაში შევიდა და დაიხრჩო.

ჯი-ეიჩ-ენი

## ყველაფერი ყველაფერზე

### გავიხსენოთ ასეთი სასამართლოც



**ინგლისში საუკუნეების განმავლობაში ყველა სადავო საკითხი, როგორც წესი, „ღვთის სასამართლოთი“ წყდებოდა. დანაშაულში ეჭვმიტანილს გავარვარებული რკინით სცდიდნენ, ადუღებულ წყალს ასხამდნენ.**

იყო ასეთი მეთოდიც: მოდავე მხარეებისთვის დუელი ინიშნებოდა საბოლოო გამარჯვებამდე, ე.ი. ერთ-ერთის სიკვდილამდე. ითვლებოდა, რომ დუელის შემთხვევაში ღმერთი უდანაშაულოს დაიცავდა, დამნაშავეს კი დასჯიდა. გავარვარებული რკინით დასჯილს რკინა ხელში უნდა აეღო, რამდენიმე ნაბიჯი გაეარა, შემდეგ კი ნელ-ნელა დაედო იგი მიწაზე. ამავე დროს, ტკივილი უნდა შეეკავებინა, არ უნდა ეყვირა. თუკი შეჰკივლებდა, მოსამართლეები მის დანაშაულში დარწმუნდებოდნენ და განაჩენსაც მყისვე გამოიტანდნენ.

ყოველივე ამ ბარბაროსობას მეფე ჰენრი II-მ მოუღო ბოლო. მან შემოიღო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. თავისუფალ მოქალაქეებს შეეძლოთ – გარკვეული თანხა შეეტანათ და მონაწილეობა მიეღოთ სამეფო იურისპრუდენციაში. აქ იყო ერთი დაბრკოლება – შესატანი თანხა ძალიან დიდი იყო და მისი გადახდა ცოტა ვინმეს თუ შეეძლო.

### ინგლისელთათვის სამაგალითო მეფე?

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემომღები მეფე ჰენრი II პლანტაგენტი (1133-1189წ ინგლისში დიდი პრესტიჟითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. აი რას წერს მასზე შუა საუკუნეებში კარგად ცნობილი მწერალი პეტრე ბლუელი: „მაშინ, როცა სხვა მეფეები თავიანთ სასახლეებში ნებივრობდნენ, მას შეეძლო მოულოდნელად დასხმოდა თავს მოწინააღმდეგეებს.** იგი ყველას ადევნებდა



თვალს, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც სხვების ზედამხედველებად დანიშნა. მაშინ როცა ხელში ისარი ან მახვილი არ ეჭირა, ეთათბირებოდა რომელიმე საქმის მცოდნეს ანდა კითხვით იყო დაკავებული. არ იყო არავინ მასზე გონებამახვილი და მჭევრმეტყველი. როცა საქმეებს მოათავებდა, უყვარდა მეცნიერებთან კამათი. იყო დიდი მშენებელი, აქ საქმე ეხება ციხე-სიმაგრის აგებას თუ სანადირო პარკისთვის კედლის შემორტყმას, თუნდაც პატარა აუზის აგებას თევზებისთვის. არავინ იყო მასზე უფრო მარჯვე, უფრო დიდებული“.

ჰენრი II ცნობილი რიჩარდ ლომგულის მამა იყო.

### ორივემ კი უკან დაიხია, მაგრამ...

**XV საუკუნის შუა წლებში ოქროს ურდო მთელ რიგ სახანოებად დაიშალა. ამის მიუხედავად, მონღოლები რუსების სამთავროების დაზეგვრისგან ხელს არ იღებდნენ. მოსკოვის შესამჩნევად მომძლავრებულმა დიდმა მთავარმა ივანე III-მ ნოვგოროდის რესპუბლიკის გაუქმების, ტვერისა და**



**რიაზანის შემოერთების შემდეგ ჩათვალა, რომ მონღოლებისთვის ხარკის შეწყვეტის დრო დადგა და მართლაც აღარაფერი გაუგზავნია.**

1480 წელს მოსკოვისკენ დაიძრა ოქროს ურდოს ხანი ახმედი. მან გადასახადის გადახდის განახლება მოითხოვა. ივანე III ერთხანს ყოყმანობდა – სჯობდა კი ბრძოლის დაწყება, მაგრამ მოსკოვის მოსახლეობამ აიძულა იგი, რომ ხელი გამოეღო. ორივე მხარე, რუსები და თათრები, ერთმანეთს მდინარე უგრასთან (ოკას შესართავიძ დაუპირისპირდა. პირველად მდინარის გადალახვას ერთიც ერიდებოდა და მეორეც, ახმედი თანახმა იყო, უკან დაბრუნებულიყო, თუკი რუსები უწინდებურად ხარკს გადაიხდიდნენ, თუმცა, ივანე III ამას უკვე აღარ აპირებდა.

ასე იდგა ორი ლაშქარი და ხელსაყრელ მომენტს ელოდა. ამასობაში დიდი სივრცე იყო, მდინარე უგრა ყინულით დაიფარა, რუსებმა გადაწყვიტეს, უკან დაეხიათ, რათა ბრძოლა შემდეგ უფრო ხელსაყრელ პირობებში განეახლებინათ. შეტევა არც ხანმა გაბედა და მანაც უკან დაიხია, ხარკის გადახდის საკითხი თავისთავად მოიხსნა.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

### 28 ივლისი

**ხსენება მოწამეთა კვირიკესი და დედისა მისისი ივლიტასი (დაახლ. 305წ; მოწამე აბუდიმესი (IVწ; მოციქულთა სწორისა ვლადიმირისა – წმიდა ნათლისღებით ბასილისა (1015წ.**



**ამოდის 04.51**
**ჩადის 19.24**



**ამოდის 20.18**
**ჩადის 07.02**

### დაიბადნენ:

**1806 – ალექსანდრ ივანოვი,** გამოჩენილი რუსი ფერმწერი. გარდაიცვალა 1858 წელს.
**1927 – გრიგოლ გიორგაძე,** ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
**1929 – ჟაკლინ კენედი,** პრეზიდენტ კენედის ქვრივი. გარდაიცვალა 1994 წელს.
**1947 – არნოლდ შვარცენეგერი,** ცნობილი ამერიკელი კინოვარსკვლავი, კალიფორნიის შტატის გუბერნატორი.

### გარდაიცვალნენ:

**1741 – ანტონიო ვივალდი,** იტალიელი კომპოზიტორი, მევიოლინე და პედაგოგი.
**1750 – იოჰან სებასტიან ბახი,** უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი.
**1794 – მაქსიმილიან რობესპიერი,** საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, იაკობინელთა დიქტატურის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ორგანიზატორი; სიკვდილით დასაჯეს.
**1968 – ოტო ჰანი,** გერმანელი რადიოქიმიკოსი და ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1586 წელი** – ევროპაში პირველად ჩაიტანეს კარტოფილი.
**1821 წელი** – პერუმ დამოუკიდებლობა მიიღო.
**1858 წელი** – იდენტიფიკაციისთვის პირველად გამოიყენეს თითის ანაბეჭდი.
**1858 წელი** – დედამიწის პირველი სურათი გადაიღეს დირიჟაბლიდან.
**1896 წელი** – ფლორიდაში ქალაქი მაიამი დაარსდა.
**1914 წელი** – გარი ფოქსმა ახალი ცეკვა – ფოქსტროტი გამოიგონა.
**1980 წელი** – პერუმ მიიღო კონსტიტუცია.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**პერუ** – დამოუკიდებლობის დღე.
**სან-მარინო** – ფაშიზმზე გამარჯვების დღე.
**სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე.**

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8449 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3884 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8470 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0720 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0515 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2958 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3362 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2149 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7213 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +23 – +34 |
| ქუთაისი. | +26 – +34 |
| ბათუმი. | +22 – +33 |
| ზუგდიდი. | +24 – +36 |
| თელავი. | +20 – +31 |

## კადრი



## ანეკდოტები

ავადმყოფი ექიმთან მივიდა და უმტკიცებს, რომ სექსუალური მანიაკია. ექიმი სთავაზობს მას ამ ფაქტის შემოწმებას, შეურჩია სურათები და ჰკითხა, თუ რას ხედავს იგი მათზე. პირველზე დახატულია სამკუთხედი.

– რას ამბობთ ექიმო! განა შეიძლება ამის ხმამაღლა აღწერა?

– უფრო მკაფიოდ. რა არის აქ გამოსახული? – ექიმი ნახატზე კვადრატს უჩვენებს.

– ო, ექიმო, მართლაც, რაღაც ცოტა უხერხულია... იქნებ თქვენ თვითონა ხართ სექსუალური მანიაკი.

– რატომ მიგაჩნიათ ასე?

– მაშ, საიდან გაქვთ ასეთი სურათები?



* * *

ჩინეთის მთავრობამ კალია დაამარცხა, გამოაცხადა, რომ იგი იჭმევა.

* * *

ექიმი ნარკოზიდან გამოსულ ავადმყოფს ეუბნება:

– ოპერაცია თქვენ შესანიშნავად გადაიტანეთ. მაგრამ მის წინ საშინლად იქცეოდით. იკბინებოდით, ღრიალებდით, იფხაჭნებოდით. თუმცა, თქვენი ნაცნობი მეზობელი საწოლიდან კიდევ უფრო უარესად იქცეოდა.

– აბა რა გეგონათ! ჩვენ ხომ კლინიკაში ფანჯრების გასაწმენდად გამოგვაგზავნეს.

* * *

– ბატონო ზინოვი, უკვე გადაწყვიტეთ როგორ შეხვდებით 2011 წელს?

– როგორც ღმერთი მოგვცემს, შევკრებ ჩემს ნათესავებს.

– თუ ვერ შეკრიბეთ?

– მაშინ ისინი შეიკრიბებიან ჩემს გარშემო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.